ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 9 მარტი, 2021 №37 (8566) ფასი: 60 თეთრი

## თელავში 27 წლის მამაკაცი მშობლებისა და ბებიის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს



გვ.5

9 მარტიდან

მსოფლიო საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




# „ოცნებამ“, შესაძლოა, პარტია კალაძეს გადააბაროს“



გვ.3

გედევან ფოფხაძე: „ღარიბაშვილი ჩანაწერების შემდეგ განულდა“



## „ოპოზიციისთვის ღარიბაშვილთან მოლაპარაკებები ყველაზე დიდი საჩუქარია“



გვ.3

გია ხუხაშვილი: „მიშას ღარიბაშვილისა და ბერას ჩანაწერები რომ ჰქონოდა, 2012-ში „ოცნება“ არჩევნებს ვერ მოიგებდა“



## „ღარიბაშვილი ივანიშვილის კი არა, ბერას პაიკია“

რომან გოცირიძე: „ქართულ ოცნებას“ ისეთი დანაშაულები აქვს ჩადენილი, 37 წელსაც კი გააკვირვებდა იმდროინდელ პროკურორებს“



გვ.2

## დაპირისპირება ჭყონდიდის ეპარქიაში





გვ.2

შეხვედრის დროს მეორე სართული ჩაინგრა – დაშავდა 6 ადამიანი

## „უნდა გაირკვეს, ფიგურანტებმა ჩაიდინეს თუ არა დანაშაული“



გვ.4

კახა კახიშვილი ფარული ჩანაწერის გამოძიებას მოითხოვს

## „საქართველოში ასპარეზზე კრიმინალური ბურჟუაზია გამოდის“




გვ.4

ანზორ აბრალავა: „სახელმწიფოს ვკარგავთ, ჩვენ კი პოლიტიკური იდიოტიზმით ვართ დაკავებული“

## პატრულ-ინსპექტორებმა ქალ მძღოლებს 8 მარტი მიულოცეს



გვ.5

ISSN 1987-9385

4 ხატია დეკანოიძე: „თუ „ოცნება“ ვადამდელზე არ წავა და მელიას არ გამოუშვებს, 20 მარტს დიდ აქციას გავმართავთ“

2 გერმანიაში დასაქმებული საქართველოს მოქალაქე საათში 9.5 ევროს მიიღებს, რომელიც 5%-ით დაიბეგრება

5 „ნაცემმა ზ.ს.-მ მანქანაში მყოფი 3 პირი ავტომატით ჩაცხრილა“ მკვლელობა სართიჭალაში

6 ინგლისში მოსწავლეები სკოლებში ბრუნდებიან

# დაპირისპირება ჭყონდიდის ეპარქიაში

## შეხვედრის დროს მეორე სართული ჩაინგრა – დაშავდა 6 ადამიანი

რამდენიმე დღის წინ ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) ეპარქიის ორ დიაკონს – კონსტანტინე გაბისონიასა და პეტრე ღუდუშაურს მღვდელმოქმედებებში მონაწილეობა აუკრძალა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საპატრიარქოდან აცნობეს, ბრძანება მღვდელმთავარმა მას შემდეგ გამოსცა, რაც დიაკვნებმა, წერილობითი თუ პირადი გაფრთხილებების მიუხედავად, უარი განაცხადეს ეპარქიის ახალ მმართველ მიტროპოლიტთან ერთად მსახურებაზე.





მიტროპოლიტის განკარგულებას ეპარქიაში მღელვარება მოჰყვა.

გუშინ, 8 მარტს, სასულიერო პირებისა და მიტროპოლიტ სტეფანეს შორის მიმდინარე შეხვედრისას, ადგილზე მრევლის ნაწილი შეიკრიბა, მათ ნაწილს შეხვედრაზე შესვლა უნდოდა, რასაც ხმაური და დაპირისპირება მოჰყვა.

დაპირისპირებისას მოულოდნელად რეზიდენციის მეორე სართული ჩაინგრა, რის შედეგადაც მედიის წარმომადგენლები რამდენიმე მეტრის სიმაღლიდან გადავარდნენ.

„ტვ პირველის“ ინფორმაციით, ტრავმა მიიღო მათმა ოპერატორმა, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს, ასევე დაზიანდა მათი ჟურნალისტი. ამასთან, „მთავარი არხის“ ინფორმაციით, ინციდენტის დროს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მათი ტელევიზიის ჟურნალისტს. ასევე, სხვადასხვა დაზიანება მიიღეს „რუსთავი 2“-ის, „ფორმულასა“ და „პოსტივის“ წარმომადგენლებმა.

დაშავებული ჟურნალისტების და ოპერატორების ჯანმრთელობის მდგომარეობას, მარტვილის საავადმყოფოში სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული მალხაზ თორია გაეცნო.

სახელმწიფო რწმუნებული დაშავებულების მკურნალ ექიმებს შეხვდა და ჟურნალისტები მოინახულა.

– მომხდარი სამწუხარო ფაქტის შემდეგ დაშავდა 6 მოქალაქე, მათგან 5 მედიის წარმომადგენელია. მათი მდგომარეობა, საბედნიეროდ, დამაკმაყოფილებელია. რამდენიმე მათგანის გადაყვანა დამატებითი კვლევებისთვის მოხდება დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კლინიკაში, – განაცხადა სახელმწიფო რწმუნებულმა.

მეუფე სტეფანე გუშინ მომხდარ შემთხვევაში ჟურნალისტებს ადანაშაულებს. მეუფე სტეფანე ამბობს, რომ ის ეპარქიის დატოვებას არ აპირებს.

ინციდენტის შემდეგ მიტროპოლიტმა სტეფანემ რეზიდენციის მეორე სართული პოლიციის კორდონის დახმარებით დატოვა, მედიასთან კი განმარტა, რომ დაპირისპირება პროვოკატორმა სასულიერო პირებმა და მრევლის ნაწილმა გამოიწვიეს.

– სასულიერო პირებს შორის იყო კრება. მოწვეული მყავდა ყველა ადამიანი, ვისაც უნდოდა კითხვების დასმა და საუბარი. ყველას მოვუსმინე, პასუხების გაცემის დრო რომ დადგა, არ მომცეს პასუხის გაცემის საშუალება. ჟურნალისტებმა გაამწვავეს ეს ვითარება, შემოიჭრნენ შიგნით. არ მომისმინეს, ეს ხალხი რომ ყვირის, მათ მოაწყვეს შეთქმულება, არ მომისმინეს. სპეციალურად მოიყვანეს ეს ხალხი, – აღნიშნა მეუფე სტეფანემ.

დეკანოზი ილია ჭიღლაძე ფიქრობს, რომ „ძალადობის ხელშეწყობისათვის მიტროპოლიტი სტეფანე, როგორც პასუხისმგებელი შექმნილი უბედურების გამო, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გადაყენებული ეპარქიის მმართველობიდან“.

# „ღარიბაშვილი ივანიშვილის კი არა, ბერას პაიკია“

## რომან გოცირიძე: „ქართულ ოცნებას“ ისეთი დანაშაულები აქვს ჩადენილი, 37 წელსაც კი გააკვირვებდა იმდროინდელ პროკურორებს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს რომან გოცირიძე პასუხობს.**

***– ბატონო რომან, ფარულმა ჩანაწერებმა, რომელიც ორიოდე დღის წინ გავრცელდა, შესაძლოა, სრულიად შეცვალოს მოლაპარაკების პროცესიო. ოპოზიციის ერთი ნაწილი აცხადებს, რომ ღარიბაშვილთან ერთად არ მიუჯდება მოლაპარაკების მაგიდას, მეორე ნაწილი მზად არის, ილაპარაკოს ყველასთან, მთავარია, მიზანს მიაღწიონ. როგორია თქვენი პოზიცია და როგორ აფასებთ შექმნილ სიტუაციას?***

– ამ ჩანაწერმა კიდევ ერთხელ გააშიშვლა ის, რაც ისედაც ყველამ კარგად იცოდა, მაგრამ ამან უფრო ნათელი და მძაფრი ფორმა მიიღო, ანუ „ქართულ ოცნებასა“ და ხელისუფლებაში არ არსებობენ ფიგურები, არის ერთი მონარქი, ივანიშვილი და ამ დაფაზე სხვა არც ერთი ფიგურა არ არის. ყველა პაიკია. პრემიერ-მინისტრი კი ივანიშვილის პაიკი არ არის, ივანიშვილის შვილის პაიკია.

***– ეს არის ძველი ჩანაწერი და ეს ნაცმოძრაობის მიერ არის გაკეთებულიო.***

– ძველია თუ ახალი, ამაზე დავა არასერიოზულია. ფაქტია, რომ დანაშაულებრივ და ამორალურ ბრძანებებს იძლევა ბავშვი და მას უსიტყვოდ ასრულებენ ივანიშვილის ქვეშევრდომები.

დღეს არის ერთი ადამიანის განუსაზღვრელი მმართველობა, რომელსაც თავისი ლაქიები მიაჩნია ჭანჭიკებად. ზოგს გამოწურავს ლიმონივით და გადააგდებს, ზოგს ფულსაც გადაუხდის სიჩუმისათვის და ასე ათამაშებს ქვეყანაში ყველას, ვინც არის პოლიტიკურ არენაზე, ამ ქმედებების მიზანი კი ის არის, რომ რაც შეიძლება დიდხანს შეძლოს ძალაუფლების შენარჩუნება.

***– „ოცნების“ შიგნითაც აირია სიტუაციაო. ვასილ მაღლაფერიძე ავადმყოფობის მომიზეზებით ტოვებს პოლიტსაბჭოს. რა ხდება?***

– რა თქმა უნდა, როდესაც პრემიერ-მინისტრი გადადგება, სიის პირველი ნომერი და ორი კვირის შემდეგ გადადგება პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ავადმყოფობის მომიზეზებით, საქმე სხვა რალაცაშია. მას ხომ შეეძლო, ერთი თვის შემდეგ გადამდგარიყო, მაგრამ მან ეს, ბუნებრივია, სიმბოლურად და წინსწრებით გააკეთა. მერე რალაცა რომ იყოს, ის სწორედ ამ ცხელ მომენტში გადადგომას დაასახელებს საკუთარი სწორი ქმედების არგუმენტად.

***– ანუ რა პროცესები მიმდინარეობს, რა ხდება „ოცნებაში“?***

– უბრალოდ, „ქართული ოცნება“ ჩამოიშალა და პირველ რიგში – მორალურად. ისეთი დანაშაულები აქვთ ჩადენილი, რომ 37 წელსაც კი გააკვირვებდა იმდროინდელ პროკურორებს. საშინელებები ჩაიდინეს და ბოლოს ამ ყველაფერს წერტილი დაუსვეს ჩვენს პარტიაზე შტურმითა და ნიკა მელიას დაპატიმრებით. საოცარი ტრაგიკომიკური სანახაობა დადგეს, ალპინისტები გადმოსხეს პარტიის სახურავზე. მთელი მსოფლიო მოიარა ამ კადრებმა.

***– ღარიბაშვილი დანიშვნის დღიდან აცხადებდა, ვადამდელი არჩევნების საკითხი არ განიხილებაო. დღეს უკვე ვისმენთ სხვადასხვაგვარ შეფასებებს, შესაძლოა, ვადამდელი არჩევნები სანატრელი გაუხდეთო. რა თემებით იწყებს ოპოზიცია დღეიდან „ქართულ ოცნებასთან“ საუბარს?***

– უკვე ყველაფერი, რაც კი შეიძლება, ვადამდელ არჩევნებამდე მისულიყო, მათ შორის როგორც შუალედური ვარიანტი, პლებისციტი, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნები ან იქნებოდა, ან არა, ვინაიდან პლებისციტში გარანტირებული პასუხი არავის ჰქონდა, დღეს უკვე ისტორიას ჩაჰბარდა.

***– ოპოზიციის ის ნაწილი, რომელიც პლებისციტს ითხოვდა, აღარ მოითხოვს?***

– რაც მოხდა ამ ბოლო პერიოდში, მელიას დაპატიმრებისა და ამ კადრების გავრცელების ფონზე, ისე გაშიშვლდა ყველაფერი, რომ ამ ძალიან ღრმა კრიზისს, რომელსაც მძიმე ეკონომიკური და სოციალური შედეგები მოჰყვა და კიდევ მოჰყვება, მით უმეტეს პანდემიის ფონზე, პლებისციტი, რომელიც არჩევნების საკითხს გადადებს და გააჭიანურებს, რა თქმა უნდა, აღარ განიხილება. ეს ხანგრძლივი პროცესია და ძალიან დააზიანებს ქვეყანას. არავითარი რესურსი ამ ხელისუფლებას არა აქვს, რომ დიდხანს დარჩეს! ახლა ერთადერთი გამოსავალია, დაიწყოს ლაპარაკი ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის რიგგარეშე არჩევნების თარიღზე. ეს გამოიყვანს ქვეყანას კრიზისიდან, მაგრამ იმდენად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდეს ქვეყანა, რომ ამის გამოსწორებასა და ამ დაკარგული დროის ანაზღაურებას, სამწუხაროდ, დიდი დრო დასჭირდება. დროზე უნდა განიმუხტოს კრიზისი და დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები.



***– ამ მოთხოვნით დაუსხდებით ხელისუფლებას, რომ ვადამდელი დანიშნოს?***

– დიახ, ესაა ჩვენი მოთხოვნა, ვადამდელი არჩევნები, რასაც უნდა მოჰყვეს ამ ხელისუფლების ცვლილება. დღეს დღის წესრიგში დგას პოლიტპატიმრების სასწრაფოდ გათავისუფლება, სწორი საარჩევნო სისტემის შექმნა, ნდობის მქონე ადმინისტრაციის ჩამოყალიბება და რიგგარეშე არჩევნების თარილის გამოცხადება. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალიან დაზიანდება ქვეყანა და ძალიან მძიმე ფასის გადახდა მოუწევთ არა მარტო „ქართულ ოცნებასა“ და მის ჩინოვნიკებს, არამედ პირადად ბიძინა ივანიშვილს. არ არის გამორიცხული, ამერიკის ხელისუფლება პერსონალურ სანქციებზე გადავიდეს. „ქართულ ოცნებას“ კისერზე ნელნელა უჭერენ ყულფს და სანამ დროა, გონს უნდა მოეგონ, დროულად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება.

***– როდისთვის უნდა მოხერხდეს ვადამდელი არჩევნები, შემოდგომისთვის?***

– მთავარია, პრინციპული გადაწყვეტილება იქნეს მიღებული, რომ ტარდება ვადამდელი არჩევნები და შემდეგ დაიწყება მოლაპარაკება ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით უკვე რიგგარეშე არჩევნების თარილზე.

# კახა კალაძე: „ოცნებას“ არ ვტოვებ“

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გენერალური მდივნის, თბილისის მერ კახა კალაძის განცხადებით, ის „ქართული ოცნების“ დატოვებას არ აპირებს.

მისი თქმით, ინფორმაცია, რომ ის „ოცნებას“ ტოვებს, არასწორია და მიზანმიმართულად ხდება სიცრუის გავრცელება.

– ამასთან დაკავშირებით გავაკეთე განცხადება და ეს არის არასწორი ინფორმაცია. მიზანმიმართულად ხდება სიცრუის გავრცელება. მომდევნო დღეების და თვეების განმავლობაში, როდესაც მოვა ამის დრო, ყველაფერს გაიგებთ იმასთან დაკავშირებით, მივიღებ არჩევნებში მონაწილეობას თუ არ მივიღებ.

მე არასდროს გადამიდგას ისეთი ნაბიჯები, რომ მალულად ან ჩუმად ყოფილიყო. ყველაფერი იქნება ცხადი, როდესაც ამის დრო იქნება. ყველაფერს აქვს თავისი დრო. დღეს ადრეა ამაზე საუბარი, ნუ ვჩქარობთ. მე დიდი პასუხისმგებლობა მაქვს აღებული თბილისზე და თბილისელებზე, ბევრ პროექტებს ვახორციელებ. შესაბამისად, გადაწყვეტილება, როგორიც იქნება მიღებული, გეცნობებათ, – განაცხადა კალაძემ.

მას ფარული ჩანაწერების გამოყენება პოლიტიკური კონფრონტაციისას არასწორად მიაჩნია.

– ფარული ჩანაწერების შინაარსზე არც ადრე გამიკეთებია კომენტარი და შეფასებები, არც ამჯერად ვაპირებ. ზოგადად, ამ მეთოდის გამოყენება პოლიტიკური კონფრონტაციისას მიმაჩნია არასწორად. შესაბამისად, მომდევნო დღეების განმავლობაში გექნებათ შესაძლებლობა თქვენც და საზოგადოებასაც, გაიგოთ დამატებითი ინფორმაცია, – განაცხადა კალაძემ.

კახა კალაძემ არ უპასუხა კითხვას, უნდა გადადგეს თუ არა პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მომდევნო დღეებში საზოგადოებას მეტი ინფორმაცია ექნება.

# გერმანიაში დასაქმებული საქართველოს მოქალაქე საათში 9.5 ევროს მიიღებს, რომელიც 5%-ით დაიბეგრება

გერმანიაში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეების საათობრივი ანაზღაურება 9.5 ევრო იქნება, რომელიც თვეში 5%-იანი საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება, – ამის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს შრომითი მიგრაციის საკითხთა სამმართველოს უფროსმა გიორგი ბუნტურმა „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში განაცხადა.

მისი განმარტებით, საქართველოს მოქალაქეების გერმანიაში მიღებული ანაზღაურება საქართველოში არ დაიბეგრება.

„ანაზღაურება იქნება საათში 9.5 ევრო, რომელიც თვეში 5%-იანი საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება გერმანიაში. არავითარი დაბეგვრა ქართული მხარის მიერ არ მოხდება“, – აღნიშნა მან. რაც შეეხება გერმანიაში გამგზავრებისა და იქ ცხოვრების ხარჯს, გიორგი ბუნტურის განცხადებით, ამ ხარჯის დაფარვა თავად დასაქმებულს მოუწევს.

„საქართველოს მოქალაქეს ევალება, რომ ორივე მიმართულებით შეიძინოს თვითმფრინავის ბილეთი, რის ხარჯსაც თავად ანაზღაურებს, ასევე მოქალაქე ფარავს კვებისა და საცხოვრებლის ხარჯებს, თუმცა მოქალაქეს ბინის პოვნაში დამსაქმებელი ეხმარება. მინდა ხაზი გავუსვა, რომ გერმანიაში მინიმალური სტანდარტებია განსაზღვრული, რასაც შრომითი მიგრაციის დროს დამსაქმებლის მიერ შეთავაზებული საცხოვრებელი უნდა აკმაყოფილებდეს. დამსაქმებელმა მოქალაქეს ცუდი საცხოვრებელი პირობები რომ შესთავაზოს, საქართველოს მოქალაქე მარტივად გაასაჩივრებს და დამსაქმებელს დიდი ჯარიმების გადახდა მოუწევს. საცხოვრისის ხარჯი საკმაოდ მიზერული იქნება, თვეში დაახლოებით, 200-250 ევრო“, – განაცხადა გიორგი ბუნტურმა.

ცნობისთვის, საქართველოს მოქალაქეების გერმანიაში დროებით ლეგალურ დასაქმებაზე რეგისტრაცია 15 თებერვლიდან დაიწყო. დასაქმება შესაძლებელია სეზონურ სამუშაოებზე სოფლის მეურნეობის სექტორში, 1-დან 3 თვემდე ვადით.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაგაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიციისთვის ღარიბაშვილთან მოლაპარაკებები ყველაზე დიდი საჩუქარია“

## გია ხუხაშვილი: „მიშას ღარიბაშვილისა და ბერას ჩანაწერები რომ ჰქონოდა, 2012-ში „ოცნება“ არჩევნებს ვერ მოიგებდა“

იაგო ნაცვლიშვილი

შაბათს „ტვ პირველის“ ეთერში გავიდა ფარული სატელეფონო ჩანაწერები, რომლის ფიგურანტებიც პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელი ანზორ ჩუბინიძე და „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის ვაჟი ბერა არიან. ბერა ღარიბაშვილსა და ჩუბინიძეს იმ ახალგაზრდების, მათ შორის არასრულწლოვნების დასჯას სთხოვს, რომლებმაც მის შესახებ სოციალურ ქსელში არასასურველი კომენტარი დაწერეს. ღარიბაშვილი ბერას ეუბნება, რომ ისე დაამცირეს ახალგაზრდები, სკოლაშიც კი ვერ მიდიან.

რასთან გვაქვს საქმე და ამ ფონზე როგორ შეიძლება წავიდეს ბრიუსელში სახელმწიფო ვიზიტით ირაკლი ღარიბაშვილი? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი **გია ხუხაშვილი** საუბრობს.

***– გამოქვეყნდა ჩანაწერები. როგორ აფასებთ მას? დუმს პრემიერი, ირაკლი კობახიძემ კი ყველაფერი ისევ მიშას დაუკავშირა.***

– როგორ უნდა შევაფასო? ეს აბსურდია, იმიტომ, რომ მიშას ეს ჩანაწერები რომ ჰქონოდა, გინდა პირდაპირი ან დამონტაჟებული სახით, მაშინ ჩვენ არჩევნებს ვერ მოვიგებდით 2012 წელს. მიშა ის კაცი არ არის, რომ ეს ჰქონოდა და არ გამოეყენებინა მაშინ ან ნებისმიერ ციკლში. ჰქონდა და მალავდა – ეს არის წარმოუდგენელი სიბრიყვე. ამას მარტო სასარგებლო ბრიყვები თუ დაიჯერებენ. მას შეეძლო, ამ ჩანაწერებით დაეპატიმრებინა იგივე ანზორ ჩუბინიძე, ბერასთვის შეექმნა პრობლემები და ა.შ. როგორც ესენი ამბობენ და იმ ვერსიას რომ გავყვეთ, რომ ის გამოქვეყნებულია 2010 წელს, ბერას თემა იყო, მიშა მოახდენდა მაშინ ჩვენს დისკრედიტაციას და მეეჭვება, რომ არჩევნებს მოვიგებდით.

თვითონ ხელისუფლებაში კი ამბობენ, რომ ეს მიშას გაკეთებულია, მაგრამ, მაქვს ინფორმაცია, რომ რეალურად შიგნით ერთმანეთისკენ იშვერენ ხელს. თვითონ დარწმუნებული არიან, რომ ეს შიგნიდან გამოტანილი ამბავია.

***– გახარიასაც ხომ არ აბრალებენ?***

– ათასი ვერსიაა. ჯერ კონკრეტულზე ვერ ჩერდებიან, მაგრამ ვერსია ბევრი აქვთ, მათ შორის ისეთ ადამიანებზეც კი აქვთ ეჭვი, რომლებიც ყველაზე ხმამაღლა იცავენ ბერას.

***– ცოტა ლოგიკურადაც რომ შევხედოთ, რანაირად უნდა იყოს 2010 წლის და რანაირად დაავალებდა მაშინ ბერა ირაკლი ღარიბაშვილს ან ჩუბინიძეს?***



– შეიძლებოდა, მუშაობდნენ ისინი მათთან და ეს არ არის მთავარი არგუმენტი. მთავარი არგუმენტია ის, რომ ბერა ამ ლექსიკით ვერანაირად ვერ ისაუბრებდა 2010 წელს. მე ვიცნობდი მას კარგად და ის იყო ძალიან ზრდილობიანი, ძალიან კარგად აღზრდილი და ძალიან კარგი ბავშვი. ის მერე შეცვალა გარემომ. გარემომ უბიძგა აქეთკენ და ასეთმა ადამიანებმა.

***– მაშინ არაფერი ეტყობოდა ისეთი, რომ ასეთი სურვილები ჰქონოდა?***

– აბსოლუტურად არაფერი.

***– გამოძიებას რატომ არ იწყებენ?***

– ეს არის პარადოქსული ლოგიკა. მათ ასეთად მიაჩნიათ საზოგადოება. ამხელა წერილი რომ გამოაცხო ხელისუფლებამ, რომელშიც დაბეჯითებით ამბობდა, რომ ოპოზიციამ ჩაიდინა დანაშაული ანუ აილო უკანონო ჩანაწერები, მერე დაამონტაჟა, ფალსიფიცირება მოახდინა და გამოიყენა ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული.



**„ოცნებაში“ ჩანაწერების გატანას ერთმანეთს აბრალებენ, ისეთებზეც კი აქვთ ეჭვი, ვინც ბერას ხმამაღლა იცავს“**

ასე დარწმუნებული რომ არიან, რომ დანაშაული ოპოზიციამ ჩაიდინა, თვითონ ფალსიფიცირების გამოძიებას რატომ არ ითხოვენ?! ეს არის პარადოქსული. წინააღმდეგობრივი ლოგიკაა, მაგრამ ცინიკურად უყურებენ საკითხს. ასე უყურებენ, რომ გვყავს ბევრი სასარგებლო ბრიყვი, რომლებიც, რაც არ უნდა დიდი სისულელე უთხრან, იმასაც კი დაიჯერებენ. თვითონ ეზიზღებათ ის ადამიანები, რომლებისთვისაც ასე იქცევიან. თვითონ ეზიზღებათ, მაგრამ ეს ადამიანები რატომღაც ამაზე ეგებიან.

***– „ოცნების“ მხარდამჭერებზე საუბრობთ?***

– რა თქმა უნდა. როდესაც მმართველი პარტია საუბრობს ოპოზიციის მძიმე დანაშაულზე, ფალსიფიკაციაზე, უკანონო ჩანწერებზე, დამონტაჟებაზე, პროპაგანდისტულ შტურმზე და მის გამოძიებას არ ითხოვს, მაშინ, მითხარით, ეს რას ნიშნავს?!

***– არ ელოდებით, რომ ამ ყველაფრის შემდეგ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე ახალ იერიშს მიიტანენ?***

– რაღაცა იერიშები ყოველთვის იყო და ეს გაგრძელდება. ხელისუფლება ფიქრობს, ყველაფერი გადავაგორეთ და ამასაც გადავაგორებთო. ხელისუფლებას არ აქვს გამოცდილება და ჰგონიათ, რომ ყველაფერს გადაიტანენ. ის, რომ ეს ჩანაწერი მოისმინა ამერიკის ელჩმა, მოისმინეს ევროპელმა ელჩებმა და დარწმუნებული ვარ, რომ უკვე შარლ მიშელსაც მიუტანეს, რომელიც იკითხავდა, იძიებენო და უპასუხებენ, რომ არა, ხელისუფლება წინააღმდეგია მისი გამოძიებისო, ეს წარმოუდგენელია ევროპული დემოკრატიის გაგებით. იქ, როდესაც რაღაცა ხმაურდება, არათუ გამოძიება იწყება, არამედ ის, ვინც არის ამ საუბრის სავარაუდო მონაწილე, მინიმუმ, იჩერებს უფლებამოსილებას თანამდებობაზე, სანამ არ იქნება გამოძიებული. ჩვენთან კი, უბრალოდ, ფეხებზე იკიდებენ. წარმოიდგინეთ, რომ ადამიანი, რომელიც ასეთ რაღაცაშია ეჭვმიტანილი, მიდის და მერე შარლ მიშელს ელაპარაკება.

***– ამ ფონზე როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ღარიბაშვილი ჯერ ოპოზიციასთან იყოს მთავარი სპიკერი და მერე უკვე ჩავიდეს ბრიუსელში?***

– ოპოზიციასთან ჯანდაბას. ის ჩვენი შიდა სივრცეა, მაგრამ სახელმწიფო ვიზიტით როგორ უნდა წავიდეს ადამიანი, რომელზეც დაიდო წარმოუდგენელი სკანდალური ინფორმაცია, ამაზე ხდება წაყრუება ხელისუფლების მხრიდან, მიდის პრემიერი და რაღაც საკითხებზე ელაპარაკება.

***– ევროპელების მხრიდან ამ კონკრეტულ საკითხზე არ იქნება საუბარი?***

– ამას არა აქვს მნიშვნელობა. დამოკიდებულება იქნება შესაბამისი. ეს არის მძიმე, თორემ, საუბარი იქნება თუ არა, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ასეთ თემებზე იქ არ დაელაპარაკებიან. დამოკიდებულება მის მიმართ იქნება ძალიან მძიმე.

***– ოპოზიციამ თქვა, რომ წესიერ ქვეყანაში პრემიერი უნდა გადადგეს და არ უნდა იყოს სპიკერი, მაგრამ არ ჩაშლიან მოლაპარაკებას. სწორია?***

– რატომ უნდა ჩამოშორდეს? ოპოზიციისთვის ღარიბაშვილი არის საჩუქარი. თქვენ რა გგონიათ? ვისთან მოლაპარაკება უფრო კომფორტულია, ღარიბაშვილთან თუ ნებისმიერ სხვასთან? – რა თქმა უნდა, ღარიბაშვილთან. რაც უფრო დისკრედიტებული, არაადეკვატური და პარალიზებულია შენი მოწინააღმდეგე, მით უკეთესი არ არის შენთვის?! ღარიბაშვილთან ლაპარაკი ახლა არის ყველაზე დიდი საჩუქარი, რაც კი ხელისუფლებას გაუკეთებია ოპოზიციისთვის. აბა ტექნიკური გახარია ჯობდა, რომელსაც ვერაფერს უშვრებოდნენ?! დისკრედიტებულ ღარიბაშვილს რა სჯობია?

***– რატომ გადამალეს კობახიძე, რომელიც ბოლო პერიოდში აღარ ჩანს აქტიურად?***

– მელიასთან დაკავშირებული მთელი ეს სპეცოპერაცია რომ ჩატარდა, რასაც მოჰყვა მთელი რიგი პრობლემები „ქართული ოცნებისთვის“, ამის თავი იყო კობახიძე, მაგრამ მოვლენები ისე რომ არ განვითარდა, როგორც ისინი გეგმავდნენ და შედეგი იყო არა ის, რასაც ელოდნენ, ამის გამო მას, სავარაუდოდ, ჰქონდა პრობლემები. თუმცა სადამდე უნდა შეენახათ და დაემწნილებინათ? ამიტომ ის პატიმრობიდან გაათავისუფლეს. შეეძლოთ, მელიაც გამოეშვათ, რა პრობლემა იყო. ერთიანად მოითავებდნენ.

***– მაინც არ დატოვეს მელიას საკნის კარი ღია, როგორც ეს თქვენ ურჩიეთ.***

– შეიძლება, ღიაა და არ გამოდის.

# „ოცნებამ“, შესაძლოა, პარტია კალაძეს გადააბაროს“

## გედევან ფოფხაძე: „ღარიბაშვილი ჩანაწერების შემდეგ განულდა“

ნათია ხურცილავა

**„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, ოპოზიციის ერთ-ერთი წარმომადგენელი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო გედევან, ოპოზიციის შეხვედრას ესწრებოდით. რა გადაწყვეტილება მიიღო ოპოზიციამ მოლაპარაკებებზე ირაკლი ღარიბაშვილთან დაკავშირებით?***



**„გახარია აპირებს პოლიტიკაში დაბრუნებას. ამას მხოლოდ მივესალმები. მიუხედავად ამისა, 20 ივნისსა და ია კერძაიას საქმეს ვერ ვაპატიებ“**

– ჩემთვის ემოციურად ძალიან მძიმე მოსასმენი იყო ეს ჩანაწერი. ამ ყველაფრის მორალური ფონი ძალიან მძიმეა. ხელისუფლება გაიხრწნა და მორალური სახე დაკარგა. 2012 წლის 1 ოქტომბერს განცდა მქონდა, რომ სხვა გუნდთან და სხვა ღირებულებების მქონე ადამიანებთან ერთად მოვდიოდი ხელისუფლებაში. მაშინ ნამდვილად არ მიფიქრია, რომ ამ ცვლილებებს ვიღაც სათავისოდ გეგმავს ან გამოიყენებს.

მიუხედავად ყველაფრისა, მოლაპარაკების პროცესი არის მოლაპარაკების პროცესი და ის უნდა გაგრძელდეს. დღეს საზოგადოება მორალური დილემის წინაშე დგას. ამ დილემის იქით ყველაფერი მთავრდება. ამ ჩანაწერში ჩანს, როგორ დგას მთელი სახელმწიფო სისტემა კერძო პირის სამსახურში. მორალურ კონტექსტში ეს არის კოშმარი. ძალიან ამაზრზენია ეს ყველაფერი. როდესაც ხელისუფლებას მორალური საფუძველი ეცლება, ძალიან იძაბება სიტუაცია და მას საზოგადოება განაჩენს გამოუტანს ხოლმე.

***– საზოგადოებაში არის ასეთი დისკუსია, რამდენად დგას ტოლობის ნიშანი ყოფილ ხელისუფლებასა და არსებულ ხელისუფლებას შორის?***

– მათემატიკური ანგარიში აქ სრულიად არარელევანტურია. თუ ხელისუფლების მიდგომა ერთი და იგივეა მორალური თვალსაზრისით, რა მნიშვნელობა აქვს, ტრაგედია დადგა თუ არ დადგა. ამას მხოლოდ სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. თუ სანდრო გირგვლიანი არ აღმოჩნდებოდა სანდრო გირგვლიანი და დამცირებას აიტანდა ნებისმიერი სხვა ადამიანი, მაშინ შეიძლება ტრაგედია არც მომხდარიყო. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ არ ვიცით, არასრულწლოვნის ფსიქიკამ როგორ გადაიტანა ეს ყველაფერი. აქ სახელმწიფოს მიდგომაზეა საუბარი, რომელიც ამ შემთხვევაში ერთი და იგივე აღმოჩნდა. რაც შეეხება კვალიფიკაციას, მას მხოლოდ სამართლისთვის აქვს მნიშვნელობა.

***– გამოძიება რომ არ იწყება, ეს კითხვას გიჩენთ?***

– ეს სწორედ იმის ნიშანია, რომ ეს ხელისუფლება ემსახურება არა კანონის უზენაესობას, არამედ – კერძო ინტერესებს. სახელმწიფო პროკურატურა არ არის ხალხის პროკურატურა, კერძო პირის პროკურატურაა ხალხის წინააღმდეგ. თქვენ წარმოიდგინეთ, რაიმე გადაცდომა რომ მქონდეს, რა დღეში ჩამაგდებდა ეს პროკურატურა, როგორც ოპოზიციონერს. მე დღეს არ მაქვს ის განცდა, რომელიც მქონდა თუნდაც გიორგი კვირიკაშვილის პრემიერობის დროს. კვირიკაშვილთან ძალიან ბევრი მიჩხუბია, მაგრამ არასდროს დამიშვია, რომ ის ამის გამო პასუხს მომთხოვდა. მერე ერთმანეთი რომ გვინახავს, გვითქვამს, როგორც დეპუტატსა და როგორც პრემიერს, რომ ზედმეტი მოგვივიდა. მე დღეს ეს განცდა არ მაქვს.

***– მოლაპარაკებებს რომ დავუბრუნდეთ რამდენად ელოდებით შედეგს?***

– თუ მოლაპარაკებებისა და დიპლომატიის რესურსი ამოიწურება, მერე უკვე ავტორიტარულ-ტოტალიტარული რეჟიმი გვეყოლება და ამ დროს საერთო-სახალხო აჯანყებას ცნობს კონსტიტუცია. მე მიმაჩნია, არ უნდა ველოდოთ, რომ მაინცდამაინც ვიღაცას მოკლავენ. ან ესენი სამართლებრივ ჩარჩოში აბრუნებენ ქვეყნის განვითარებას, ან ხალხმა უნდა დაიბრუნოს ის, რასაც ართმევენ.

***– როდის დგება ეს ზღვარი?***

– ამას ვერ იწინასწარმეტყველებ, მაგრამ ამას გრძნობს საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა.

***– ვასილ მაღლაფერიძე გადადგა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილის პოზიციიდან. თქვენ რას უკავშირებთ ამას?***

– რატომ წავიდა, ამაზე ვარაუდების გამოთქმა არ მინდა, მაგრამ ვიცი, რატომ იყო თავმჯდომარის მოადგილე.

***– რატომ?***

– კობახიძესა და კალაძეს შორის შუამავალი რგოლი იყო. კახა კალაძეს პარტიული ლიდერის პოზიციაზე ვასილ მაღლაფერიძე მიუჩინეს, როგორც ერთ-ერთი რგოლი. ვერ გეტყვით, რა შეიცვალა და რატომ წავიდა. ძალიან მალე გამოაშკარავდება, რეალურად რასთან გვაქვს საქმე.

***– შეიძლება, კალაძე მიდის ოპოზიციაში?***

– პირიქით, არ გამოვრიცხავ, კალაძეს გადააბარონ მთლიანად პარტია. ძალიან ცუდ დღეში არიან. მეტ-ნაკლებად წონადი ლიდერი სჭირდებათ, რომ სიტუაცია შეინარჩუნონ. ლიდერი არ ჰყავთ. ღარიბაშვილი ამ ჩანაწერების მერე განულებულია.

***– კობახიძე?***

– კობახიძე ყოველთვის განულებული იყო. კობახიძეზე არასდროს არავის უფიქრია, რომ ლიდერია. ერთადერთი, „ოცნებაში“ ლიდერის თვისებები გახარიას ჰქონდა და გამოამჟღავნა კიდეც. მეორეა კალაძე. თუ „ოცნება“ აპირებს რაიმე ფორმატში პოზიციების დაცვას და სჭირდება ლიდერი, ეს არის კალაძე. სხვა ნებისმიერი ადამიანი თეორიულად გამორიცხეთ.

***– გახარიასთან, როგორც ცნობილია, პოლიტიკოსები კონსულტაციებზე დადიან. შეიძლება, დაბრუნდეს პოლიტიკაში?***

– არ გავუსწრებდი მოვლენებს. ვნახოთ. მეც დავდიოდი კვირიკაშვილთან, მაგრამ, ეს ხომ არ ნიშნავდა იმას, რომ კვირიკაშვილი პარტიას ქმნიდა. შეიძლება, ამასთან გვაქვს საქმე. თუ აპირებს პოლიტიკაში დაბრუნებას, ამას მხოლოდ მივესალმები. მიუხედავად ამისა, მე მას 20 ივნისსა და ია კერძაიას საქმეს ვერ ვაპატიებ. კახა კალაძესაც მივესალმები ოპოზიციაში, თუ ის დამოუკიდებლად გადადგამს ამ ნაბიჯს.

# „საქართველოში ასპარეზზე კრიმინალური ბურჟუაზია გამოდის“

## ანზორ აბრალავა: „სახელმწიფოს ვკარგავთ, ჩვენ კი პოლიტიკური იდიოტიზმით ვართ დაკავებული“

მარიამ მჭედლიშვილი

1 მარტს, ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის საქართველოში სტუმრობისას, პოლიტიკური კრიზისის დაძლევის ნიშნები გაჩნდა, თუმცა ეს მოლოდინი მალე გაქარწყლდა, ახლა კი პოლარიზებამ და რადიკალიზმმა ფარული ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ პიკს მიაღწია. მისი ფიგურანტები არიან ახლანდელი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი, ბიძინა ივანიშვილის ვაჟიბერა და სახელმწიფო სამსახურის ახლანდელი უფროსი ანზორ ჩუბინიძე. „ქართული ოცნება“ ირწმუნება, რომ მოხდა ჩანაწერების ფაბრიკაცია, დიალოგების ნაწყვეტები კი 2010-11 წლებშია ჩაწერილი. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.



„ის, რაც დასაშვებია ნაციონალური მოძრაობისათვის, დაუშვებელია სხვისთვის“

**ანზორ აბრალავა:**

– არის თუ არა ეს ჩანაწერები ავთენტური, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გაარკვიონ. თუ ავთენტურია, აქ ჩნდება დანაშაულის ნიშნები. დანაშაულის მეტს რას ჩადიოდა ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ ამისათვის პასუხი ვინ მოსთხოვა! ის, რაც დასაშვებია ნაციონალური მოძრაობისათვის, დაუშვებელია სხვისთვის.

***– გინდათ თქვათ, რომ პოლიტიკურ დღის წესრიგს ნაციონალური მოძრაობა ადგენს?***

– დღის წესრიგს ნაციონალური მოძრაობა კი არა, ხელისუფლების სისუსტე და არაადეკვატურობა ადგენს.

***– ხელისუფლების სისუსტე სად ჩანს?***

– იქ, რომ უგულებელყოფს მართლმსაჯულებას, არ სჯის წინა ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც უმძიმესი დანაშაულები აქვთ ჩადენილი ხალხისა და ქვეყნის წინაშე. რატომღაც ნიკა მელია დააკავეს. ამ დროს ნიკა მელია დამნაშავე არ არის. ვერ გამიგია, რა უნდა ნიკა მელიას სააკაშვილთან. ხომ უნდა მისცენ კვალიფიკაცია წინა ხელისუფლების დანაშაულს და გააცნონ ეს ინფორმაცია უცხოელ კოლეგებს! ამას არ აკეთებენ. სამაგიეროდ, მორჩილად უსმენენ სააკაშვილის თანამოაზრეებს, რომლებიც ევროპის, ევროკავშირის სახელით ჩამოდიან საქართველოში და ლექციებს კითხულობენ. ეს ხალხი აკეთებს რუსეთის საქმეს. ამაზე არ რეაგირებს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

***– პავილიონისს თუ გულისხმობთ, მას კრიტიკით უპასუხეს.***

– უპასუხეს, მაგრამ როდის? ეს დაგვიანებული პასუხი იყო. ევროკავშირის წარმომადგენლებს მივესალმები, მაგრამ პავილიონისისთანა ხალხი ევროპისა და საქართველოს ინტერესებს არ ემსახურება, ისევე, როგორც სააკაშვილი, რომელიც მართავს ამ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას. ეს სიტყვები გაცვდა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ოპოზიცია მუდმივად მუშაობს სახელმწიფო გადატრიალების გეგმაზე. ხელისუფლება ამაზე არ რეაგირებს, მდგომარეობა კი უფრო მძიმდება. აგერ, საქართველოში ასპარეზზე გამოდის კრიმინალური ბურჟუაზია.

***– რაზე საუბრობთ?***

– პოლიტიკაში მოდიან მდიდარი ადამიანები, რომლებიც 90-იანი წლებიდან დაეპატრონნენ სახელმწიფო ქონებას. ეს მოხდა დანაშაულებრივად. ამის ერთი მაგალითია მამუკა ხაზარაძე. მას ემსახურებიან ტელევიზიები. ტვ პირველის უკან ისედაც ბიზნესი დგას. ეს არხი ძალიან ეშმაკურად იქცევა – ვითომ სხვებსაც უთმობს ეთერს, მათ შორის, სააკაშვილს, ბოკერიას, მთავარი მიზანი კი კრიმინალური ბურჟუაზიის მომსახურებაა. აი, ასეთ ოპოზიციას ეძლევა გასაქანი. არც სხვები იღვწიან სამშობლოსთვის. დავით ბერძენიშვილის მოწინააღმდეგე ვარ, ერთ რამეში კი არ შეიძლება, არ დაეთანხმო – ძველებმა გვერდზე უნდა გავიწიოთო. უნდა გაიწიონ, ოღონდ, მაინცდამაინც თავიანთი შვილები არ უნდა მოიყვანონ პოლიტიკაში. როდემდე უნდა იყვნენ აქტიურ პოლიტიკაში პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ 90-იანი წლების სახელმწიფო გადატრიალებაში, რომლებიც შედიოდნენ სამხედრო საბჭოსა და სახელმწიფო საბჭოში?!

***– ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებით პოლარიზაცია გაიზარდა?***

– არსებობს ფაილები, ჩანაწერები, რომლებიც არ განადგურებულა. ერთხელ ხელისუფლებამ მოაწყო ღონისძიება და ხალხს უთხრა, რომ სააკაშვილის „კასრები“ გაანადგურა. ეს მაშინვე არ იყო დასაჯერებელი. ცხადი იყო, რომ დარჩა ასლები. სააკაშვილის რეჟიმი ლამის ყველას უსმენდა და უთვალთვალებდა. სახელმწიფოს ბედი, სახელმწიფოებრიობა მაწუხებს. სახელმწიფოს ვკარგავთ, ჩვენ კი დაკავებული ვართ პოლიტიკური იდიოტიზმით. ხალხი მაყურებლის როლშია და ხან ტირის, ხან დარდობს, ხან ღელავს, ხან იღიმება.

***– სტაბილურობისთვის პოლიტიკური დიალოგი აუცილებელია?***

– ნაციონალურ მოძრაობასთან დიალოგი შეუძლებელია. ამ პარტიას დიალოგი და არჩევნები არ უნდა. მასთან მყოფ ნულოვან პარტიებსა და კრიმინალურ ბურჟუაზიასაც არ უნდათ დიალოგი და მშვიდობა, საქართველოს ევროპული ინტეგრაცია. ხელისუფლებამ უნდა გახსნას კარი და ილაპარაკოს საზოგადოებასთან, ცალკეულ ჯგუფებთან, აკადემიურ წრეებთან, დარგების სპეციალისტებთან.

***– მთავრობამ დაინტერესებული პირები მიიწვია სახელმწიფო კომისიაში. ამ კომისიამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი გეგმა.***

– პირადად მე, როგორც ეკონომისტი, მზად ვარ, ჩავერთო ამაში. ეკონომიკა გაიხსნაო, ამბობენ. მთავარია, როგორი ეკონომიკა გაიხსნა და რას მოუტანს ის ხალხს. მონოპოლიებით სავსე, ინტერესთა კონფლიქტით, არაპროფილური საქმიანობით გაჯერებულ ეკონომიკაში ხალხი გმინავს. მდიდრდება კრიმინალური ბურჟუაზია.

***– 16 მარტს გაიმართება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომა. რით წავა საქართველო ამ სხდომაზე?***

– ჩვენ მზად ვართ ევროატლანტიკური ინტეგრაციისათვის. ვმონაწილეობთ ნატოს სამშვიდობო მისიებში. ევროკავშირმა მეტი ყურადღება უნდა მოგვაქციოს. სააკაშვილის მოძმე პავილიონისები არ უნდა დადიოდნენ ემისრებად საქართველოში.

***– ამ სხდომაზე განსახილველი ერთ-ერთი საკითხი საარჩევნო რეფორმა იქნება.***

– საარჩევნო რეფორმაზე ძირითადად პარლამენტში მსჯელობენ. პარლამენტმა საზოგადოებას კარი კი არ უნდა ჩაუკეტოს, პირიქით, კომიტეტებში ხალხი უნდა მიიწვიოს და სხვების აზრი მოისმინოს. ამ პარლამენტსა და სხვა ორგანოებს ხარჯების შემცირებასაც ვურჩევ. მანქანებს შეეშვან. ავტომობილით უნდა დადიოდეს მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარე. ნახონ, როგორ სადად იქცევიან ევროპელი კანონმდებლები, მერები და ა.შ. სახელმწიფოს ღრღნის კორუფცია და ბიუროკრატია. საქართველოში ორივე მანკიერება გვაქვს.

## ხატია დეკანოიძე: „თუ „ოცნება“ ვადამდელზე არ წავა და მელიას არ გამოუშვებს, 20 მარტს დიდ აქციას გავმართავთ“

– თუ „ქართული ოცნება“ არ წავა რაიმე წინადადებით ვადამდელ არჩევნებზე, პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებაზე, მაშინ 20 მარტს ძალიან დიდ აქციას ვაპირებთ.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ხატია დეკანოიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

ხატია დეკანოიძე აცხადებს, რომ ოპოზიცია ერთიანია და არ აპირებს „ქართულ ოცნებას“ მოლაპარაკებების ჩაშლის საშუალება მისცეს.

– ვიმსჯელეთ იმ ძალიან მძიმე პოლიტიკურ კრიზისზე, რომელიც ქვეყანაშია და მომავალ გეგმებზე, მათ შორის 20 მარტის აქციაზე. ოპოზიციური ერთობა იმავე პლატფორმაზეა, რომელზეც ვიყავით. მიუხედავად მცირე განსხვავებული პოზიციებისა, რომელიც შეიძლება სხვადასხვა პარტიას ჰქონდეთ, არაფერი ემუქრება ოპოზიციურ ერთობას.

ჩვენ „ქართულ ოცნებას“ საშუალებას არ მივცემთ, რომ მოლაპარაკებები ჩაშალოს, იმიტომ, რომ ვალდებულებები გვაქვს აღებული საერთაშორისო თანამეგობრობასთან და საქართველოს მოქალაქეებთან.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოზიცია იგივეა, ნიკა მელია უნდა იყოს გათავისუფლებული და სწორედ ის წარმოადგენდეს ჩვენს პარტიას მოლაპარაკების მაგიდასთან. უნდა ვისაუბროთ პოლიტპატიმრების გათავისუფლებასა და ვადამდელ არჩევნებზე.

ღარიბაშვილი ახლა გამოძიებისგან სისხლის სამართლებრივი დევნის ობიექტი უნდა იყოს. თუ „ქართულ ოცნებას“ სურს, რაიმე სახის ნაბიჯი გადმოდგას საქართველოს მოქალაქეებთან, გამოცვალოს მომლაპარაკებელი და წარმოადგინოს სხვა პოლიტიკური ფიგურა, იმიტომ, რომ ღარიბაშვილი სრულად მიუღებელია. ჩვენ ვაპირებთ, არ მივცეთ მათ რაიმე სახის რადიკალური ნაბიჯის გადადგმის საშუალება, რომ მოლაპარაკებები ჩაშალონ. თუ „ქართული ოცნება“ არ წავა ვადამდელ არჩევნებზე, პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება და ნიკა მელიას საკითხი ძალიან პრინციპულია, მაშინ 20 მარტს ძალიან დიდ აქციას ვაპირებთ და ეს აქცია იქნება საქართველოს მოქალაქეების პასუხი ხელისუფლებისადმი, რომელიც სრულიად თავგასულია, – აღნიშნა დეკანოიძემ.

## „უნდა გაირკვეს, ფიგურანტებმა ჩაიდინეს თუ არა დანაშაული“

### კახა კახიშვილი ფარული ჩანაწერის გამოძიებას მოითხოვს

პარლამენტის დეპუტატი კახა კახიშვილი მიიჩნევს, რომ გამოქვეყნებულ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით აუცილებელია, გამოძიება ჩატარდეს.

კახა კახიშვილის განცხადებით, გამოძიება ორი მიმართულებით უნდა წარიმართოს და დადგინდეს ყველა დეტალი, არის თუ არა ჩანაწერი ავთენტური, როდის არის მოპოვებული და ჰქონდა თუ არა ადგილი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს.

– გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ავთენტურია თუ არა ჩანაწერი, როდის შედგა საუბარი და, შესაბამისად, როდისაა მოპოვებული, მონტაჟის კვალი ხომ არ არის; თუ ავთენტურობა დადასტურდება, უნდა გაირკვეს, ფიგურანტების მხრიდან ადგილი ხომ არ ჰქონდა ისეთ მოქმედებას, რომელშიც სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები გამოიკვეთება, – აცხადებს დეპუტატი.

ამასთან, კახიშვილის თქმით, არის განცხადებები, მათ შორის სოციალურ ქსელშიც დაიწერა, რომ ჩანაწერები 2010-2011 წლებს უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში, მისი თქმით, გაუგებარია, რატომ არ ჩაატარა თავის დროზე გამოძიება მაშინდელმა ხელისუფლებამ, რომელიც ამას დღეს ოპოზიციის რიგებიდან მოითხოვს.

– ასეთ შემთხვევაში ისმის კითხვა, თუ ჩანაწერი 2010 ან 2011 წელს არის გაკეთებული და დღევანდელ ოპოზიციას, რომელიც მაშინ ხელისუფლებაში იყო, დღეს აქვს სურვილი, ჩატარდეს გამოძიება, გაუგებარია, თავად რატომ არ ჩაატარა გამოძიება, როდესაც ისინი იყვნენ ხელისუფლებაში? მაშინ რატომ არ დაადგინეს რეალურად, რა იყო იმ ვითარებაში? ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იქნება გამოხმაურება თუ სტატუსი, გამოძიებით უნდა იყოს დადგენილი, ხომ არ ჰქონდა ადგილი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველ ქმედებას, – განაცხადა კახა კახიშვილმა.

## გია ვოლსკი: „ოპოზიციასთან მოლაპარაკებაში ღარიბაშვილის მონაწილეობა გადაწყვეტილი არ არის“

– მოლაპარაკებებს აწარმოებდა პარლამენტის თავმჯდომარე, პარტიის თავმჯდომარე და არ მგონია, რომ ეს ფორმატი უნდა შეიცვალოს.

ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ ჟურნალისტებთან მოლაპარაკებებში ირაკლი ღარიბაშვილის მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, მსგავსი გადაწყვეტილება, რომ მოლაპარაკებები პრემიერ-მინისტრმა აწარმოოს, მიღებული არ არის.

– ჩანაწერიც პირდაპირ უკავშირდება მოლაპარაკებების მიმართ ოპონენტების დამოკიდებულებას. მრავლობით რიცხვში პირობითად ვამბობ, რადგან დაქვემდებარება ნაცმოძრაობის ინტერესებისადმი არის სრული და ყველანაირი გადახვევა ნაცმოძრაობის ინტერესებიდან არის დასჯადი.

ეს ჩანაწერებიც იმისთვის გამოიყენება, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან მიუსვლელობა გაამართლონ, რაც უპერსპექტივოა. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის მონაწილეობას მოლაპარაკებებში. იგი მაღალი რანგის სტუმართან ერთად გარკვეულ ფორმატს დაესწრო, მაგრამ პრემიერ-მინისტრის ფუნქცია პოლიტსაბჭოს არასდროს არ ჩამოუყალიბებია, რომ რაიმე პოლიტიკურ მოლაპარაკებებში პოლიტიკოსებთან დაჯდეს და მოლაპარაკებები აწარმოოს. თუკი ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნება პოლიტსაბჭოს მიერ, ამას დასაბუთებაც ექნება, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება დღეს მიღებული არ არის. მოლაპარაკებებს აწარმოებდა პარლამენტის თავმჯდომარე, პარტიის თავმჯდომარე და არ მგონია, რომ ეს ფორმატი უნდა შეიცვალოს, – განაცხადა ვოლსკიმ.

ის ასევე გამოეხმაურა ოპოზიციის მიერ 20 მარტს დაანონსებულ აქციას და განაცხადა, რომ ოპოზიციის მიზანი დესტაბილიზაციაა.

– არჩევნებამდეც კარგა ხნით ადრე ვამბობდი და გავიმეორებ, რომ ნაცმოძრაობის ინტერესებში არჩევნები არ შედის. მათ ინტერესებშია დესტაბილიზაცია და ამ პოლიტიკურ ძალას გააჩნია გარკვეული გავლენა სხვა პოლიტიკურ სუბიექტებზე, რომლებიც დღეს იკრიბებიან და ცდილობენ, რომ მათი განცხადებების საფუძველზე ჩატარდეს განმეორებითი არჩევნები და კატეგორიულად უარყოფენ თავიანთ მონაწილეობას იმ გამოძიებაში, რომელსაც თუკი საფუძველი გააჩნია, შეუძლია კონკრეტული შედეგი დადოს.

ვინაიდან საერთაშორისო ჩართულობა და შეფასება არჩევნების შედეგებისა ცალსახაა და კატეგორიული, რასაკვირველია, მოლაპარაკების ჩაშლაზე უნდა იფიქროს კონკრეტულმა პოლიტიკურმა ჯგუფმა.

მე არ მგონია, რომ საზოგადოების რომელიმე წევრი, თუნდაც ჩვენი ოპონენტების მომხრე, ჩვენი დასავლელი პარტნიორები დაეთანხმონ იმ ფორმულას, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას გააჩნია, – განაცხადა ვოლსკიმ.

## ვასილ მაღლაფერიძემ „ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა დატოვა

ვასილ მაღლაფერიძე პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას ტოვებს. ამის შესახებ მაღლაფერიძე სოციალურ ქსელში წერს.

მისი განმარტებით, პოლიტიკურ თანამდებობას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ტოვებს.

„მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, რამე სულელური ვერსიები რომ არ გაჩნდეს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვტოვებ პოლიტიკურ თანამდებობას. გარკვეული პერიოდი აქტიურ საქმიანობას ვერ შევძლებ, თორემ გემოვნება და შეხედულებები არ მეცვლება. თუ საჭირო გახდა, გაცდენები რომ საპატიოდ ჩამეთვალოს, ცნობასაც წარმოვადგენ!“ – წერს ვასილ მაღლაფერიძე სოციალურ ქსელში.

## ანა დოლიძეს გოგონა შეეძინა

პარტია „მოძრაობა ხალხისთვის“ დამფუძნებელი ანა დოლიძე გოგონას დედა გახდა.

ინფორმაციას ამის შესახებ მისი მეგობრები სოციალურ ქსელში ავრცელებენ და პოლიტიკოსს მეორე შვილის დაბადებას ულოცავენ.

ანა დოლიძემ 40 წლის ასაკში მესამედ იქორწინა და მეორე შვილი შეეძინა. პოლიტიკოსს ჯვრისწერა ვიწრო წრეში უკვე ჰქონდა, თუმცა წყვილმა ქორწილის გადახდა პანდემიის გამო ვერ მოახერხა. ანა დოლიძე მეორე ნახევრის ვინაობას არ ამხელს და ამბობს, რომ სანამ შეძლებს, დამალავს.

# თელავში 27 წლის მამაკაცი მშობლებისა და ბებიის მკვლელობის ბრალდებით დააკავეს



7 მარტს თელავში მკვლელობა მოხდა. 27 წლის მამაკაცმა მშობლები და ბებია მოკლა.

ადგილობრივების ინფორმაციით, ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის ხმა გაიგეს. მათი თქმით, ახალგაზრდას ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა.

ის მკვლელობის დღესვე დააკავეს. როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ ინფორმაციაშია ნათქვამი, ბრალდებული პოლიციამ მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავა.

გამოძიება სსკ-ის ორი მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახის სამი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებას ითვალისწინებს.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა თავის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი პისტოლეტიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა ოჯახის სამ წევრს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის და თელავის პოლიციის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თელავში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნეს. ოჯახის სამი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაკავებულია 1993 წელს დაბადებული ა.ა.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თავის სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი პისტოლეტიდან გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა 1960 წელს დაბადებულ მამას, 1963 წელს დაბადებულ დედას და 1935 წელს დაბადებულ ბებიას, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

პოლიციამ ა.ა. მომხდარიდან რამდენიმე საათში თელავში დააკავა.

სამართალდამცველებმა დანაშაულის ჩადენის იარაღი – პისტოლეტი ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ვ" ქვეპუნქტითა და მესამე ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ოჯახის სამი წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებას გულისხმობს", – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

# თარაშ კანდელაკი ციხიდან გამოვიდა



გორში 2020 წლის 8 ივნისს მომხდარი ჩხუბის შემდგომ გარდაცვლილი ერეკლე თედლიაშვილის საქმეზე დაკავებული თარაშ კანდელაკი 5 მარტს პატიმრობიდან გათავისუფლდა. გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველი პატიმრობიდან გათავისუფლების თაობაზე გამოძიების 9-თვიანი ვადის გასვლა გახდა.

თარაშ კანდელაკის ერთ-ერთი ადვოკატის, გაგი მოსიაშვილის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის წარდგენილი ბრალი არის დაუსაბუთებელი და რასაც ედავებიან, არის არასწორი კვალიფიკაცია.

– დაცვის მხარის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გაუქმებასთან დაკავშირებით სასამართლომ გაიზიარა, სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. იმედი მაქვს, რომ სწორედ ასეთი სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება მიღებული საქმის საბოლოოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ სასამართლოს მიერ.

წარდგენილი ბრალი არის დაუსაბუთებელი და წარდგენილი ბრალით, რასაც თარაშს ედავებიან, ეს არის აბსოლუტურად არასწორი კვალიფიკაცია, მას ამგვარი ქმედება არ ჩაუდენია და აღნიშნულს კიდევ ერთხელ ადასტურებს სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებები, – განაცხადა გაგი მოსიაშვილმა.

პროცესს ესწრებოდა ერეკლე თედლიაშვილის ოჯახის ადვოკატიც. თამარ თედლიაშვილი დარწმუნებულია, რომ თარაშ კანდელაკის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგება.

– თარაშ კანდელაკისთვის აღკვეთის ღონისძიების გაუქმება მოხდა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუმცა გრძელდება სასამართლო განხილვები და დაცვის მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპი. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვაქვს ძალიან დიდი იმედი, რომ თარაშ კანდელაკის მიმართ დადგება გამამტყუნებელი განაჩენი, – აღნიშნა ერეკლე თედლიაშვილის ოჯახის ადვოკატმა.

# „თავის მოკვლა გადაიფიქრა და თოფი პოლიციელს ესროლა"

## ვანში გ.მ. დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ვანის რაიონული სამმართველოს და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული გ.მ. ვანში დააკავეს. მას ბრალად სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით პოლიციელზე თავდასხმა ედება.

დანაშაული 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მიმდინარე წლის 5 მარტს ვანის რაიონულ სამმართველოში შევიდა შეტყობინება, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მამაკაცი თავის მოკვლას აპირებდა. სამართალდამცველებმა მიღებულ შეტყობინებაზე მყისიერი რეაგირება მოახდინეს და დაუყოვნებლივ მივიდნენ შემთხვევის ადგილზე. სანადირო თოფით შეიარაღებულმა გ.მ.-მ., რომელიც თავის მოკვლას აპირებდა, პოლიციელების დანახვისთანავე მათი მიმართულებით რამდენიმე გასროლა განახორციელა, რის შედეგადაც დაიჭრა ვანის რაიონული სამმართველოს თანამშრომელი.

დაჭრილი პოლიციელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მას შესაბამისი დახმარება აღმოუჩინეს. სამართალდამცველის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციამ ბრალდებული შემთხვევის ადგილზე დააკავა, დანაშაულის ჩადენის იარაღი კი ნივთმტკიცებად ამოიღო.

სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით პოლიციელზე თავდასხმის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

# „ნასვამმა ზ.ს.-მ მანქანაში მყოფი 3 პირი ავტომატით ჩაცხრილა"

## მკვლელობა სართიჭალაში




საქართველოს პროკურატურამ გარდაბნის მუნიციპლიტეტის სოფელ სართიჭალაში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე ზ.ს.-ს ბრალი განზრახ მკვლელობის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვა–ტარების, ხოლო ზ.მ.-ს განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა– შენახვა-ტარების მუხლებით წარუდგინა.

პროკურატურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წლის 3 მარტს, სოფელ სართიჭალაში ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ზ.მ.-მ მოკვლის განზრახვით, უკანონოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ზ.ს.-ს თავისა და ხელის არეში დაზიანება მიაყენა.

„აღნიშნულის შემდგომ ზ.ს.-მ შურისძიების მოტივით, ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობის მიზნით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან, ავტომანქანაში მყოფი შ.ქ.-ს, თ.გ.-ს და ზ. მ.-ს მისამართით რამდენიმე გასროლა განახორციელა, რის შედეგადაც მიღებული დაზიანებებით შ.ქ. საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, ხოლო თ.გ. დროულად გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად სიკვდილს გადაურჩა.

სამართალდამცველებმა ზ.ს. და ზ.მ. 4 მარტს დააკავეს. ზ.ს.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა), 19 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (ორი ან მეტი პირის მიმართ განზრახ მკვლელობის მცდელობა) და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვა და ტარება), ხოლო ზ.მ.-ს 19 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობის მცდელობა) და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება) წარედგინა.

პროკურატურამ ორივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება", – ნათქვამია ინფორმაციაში.

# რუსთავში მამაკაცმა 60 წყვილი ფეხსაცმელი მოიპარა



რუსთავში მამაკაცმა 60 წყვილი ფეხსაცმელი მოიპარა.

„ინფო რუსთავის" ინფორმაციით, ქურდობის ფაქტი ე.წ. სტამბოლის ბაზართან არსებულ მაღაზიაში მოხდა.

დამნაშავემ მაღაზიაში კომენდანტის საათის დროს შეაღწია და მამაკაცის ფეხსაცმელები მოიპარა.

რუსთავის პოლიციამ მამაკაცი მალავე დააკავა. მომხდარზე გამოძიება ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს.

აღმოჩნდა, რომ ბრალდებულმა ფეხსაცმელების ნაწილი გააჩუქა, ნაწილი გაყიდა, ხოლო ნაწილს თავად იცვამდა.

# „გორში 50 წლის ზ.მ.-მ 13 წლის გოგონა გააუპატიურა და მასზე ფიზიკურად იძალადა"

გორში 13 წლის გოგონას მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტზე ბრალდებულს ბრალდება დაუმძიმდა. აღნიშნულთან დაკავშირებით გენერალური პროკურატურა ინფორმაციას ავრცელებს.

როგორც უწყების ინფორმაციაშია აღნიშნული, ბრალდებულმა მამაკაცმა 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ გაუპატიურება და ფიზიკური ძალადობა განახორციელა.

„13 წლის გოგოს მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ბრალდებულ ზ.მ.-ს ბრალდება წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის გაუპატიურების და არასრულწლოვნის მიმართ ოჯახური ძალადობის მუხლებით დაუმძიმდა.



შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ზ.მ.-მ, 14 წლის ასაკს მიუღწეველი დაზარალებულის მიმართ გაუპატიურება და ფიზიკური ძალადობა განახორციელა.

ზ.მ.-ს ბრალდება 5 მარტს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 137-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით (2017 წლის 4 მაისიდან 2020 წლის 17 მარტამდე მოქმედი რედაქცია) და 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით წარედგინა, რაც ოჯახის წევრის მიმართ, წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის გაუპატიურებასა და არასრულწლოვნის მიმართ ოჯახურ ძალადობას გულისხმობს და სასჯელის სახედ და ზომად 15-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს", – ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თებერვალში პოლიციამ ეს მამაკაცი დააკავა.

# წალენჯიხაში ყოფილი სასტუმროს შენობაში გაზის ბალონი აფეთქდა

5 მარტს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოცხოეწერში, ყოფილი სასტუმროს შენობაში აფეთქება მოხდა.

აფეთქდა გაზის ბალონი, რის შედეგად შენობის ნაწილი ჩამოინგრა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განცხადებით, აფეთქების შედეგად ხანძარი 30 კვ.მ.-ზე გაჩნდა და შენობის მინები ჩაიმსხვრა.

წალენჯიხის მერ ბესო ფარცვანიას ინფორმაციით, შენობაში დროებით ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე დასაქმებულები ცხოვრობენ.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

# დიდ დიღომში მანქანას ცეცხლი გაუჩნდა

5 მარტს დიდ დიღომში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის ეზოში მსუბუქ ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

# პატრულ-ინსპექტორებმა ქალ მძღოლებს 8 მარტი მიულოცეს



საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს და ყვავილების თაიგულები მიართვეს.

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია მთელი ქვეყნის მასშტაბით გაიმართა.

# ინგლისში მოსწავლეები სკოლებში ბრუნდებიან



ინგლისში 8 მარტიდან მოსწავლეები სკოლებში დაბრუნდნენ. საკლასო ოთახებს ჯერ 5-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვები უბრუნდებიან, მომდევნო დღეების განმავლობაში კი ეტაპობრივად მათ 11-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეებიც შეუერთდებიან.

საშუალო სკოლის მოსწავლეებს პირველი ორი კვირის განმავლობაში სკოლებში 3 და სახლში ერთი ნებაყოფლობითი კოვიდ 19-ის ტესტის გავლას სთხოვენ. შემდეგ მათ სახლის პირობებში გასაკეთებელი ტესტის კომპლექტს გადაუგზავნიან და ტესტის აღებას კვირაში ორჯერ მოსთხოვენ. ამასთან, განათლების დეპარტამენტი საშუალო სკოლის მოსწავლეებს პირბადეების ტარებას ურჩევს ყველგან, სადაც სოციალური დისტანციის დაცვა შეუძლებელია, მათ შორის საკლასო ოთახებში.

დაწყებითი კლასების მოსწავლეებს არც ტესტირების ჩატარებასა და არც პირბადეების გამოყენებას სთხოვენ.

ინგლისში მოსწავლეები საკლასო ოთახებს საშობაო არდადეგების შემდეგ დაუბრუნდნენ, თუმცა ერთი დღის შემდეგ კვლავ ონლაინ-რეჟიმზე გადავიდნენ.

# მარტში რუსეთ-ბელარუსის სამხედრო სწავლებები ჩატარდება



მარტში ჩატარდება რუსეთ– ბელარუსის საერთო სამხედრო სწავლებები. რუსი და ბელარუსი მედესანტეები დაცვისა და შეტევის ილეთებს დახვეწენ. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ განაცხადა, რომ ბელარუსი რუსეთის უმთავრესი მოკავშირეა. მოსკოვ-მინსკის თანამშრომლობის განვითარებასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

# იტალიაში ასტრაზენეკას ვაქცინით 65 წელს გადაცილებულ პირთა აცრის ნება დართეს

იტალიამ ასტრაზენეკას კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის 65 წელს გადაცილებულ პირებში გამოყენების ნებართვა გასცა.

ამის შესახებ იტალიის ჯანდაცვის სამინისტრომ გუშინ, 8 მარტს, განაცხადა.

სამინისტროს განმარტებით, ვაქცინის მიღება შესაძლებელია იტალიაში 18 წელს გადაცილებული ყველა ადამიანისთვის, გარდა იმ პაციენტებისა, რომლებიც კონკრეტული პათოლოგიების მიმართ განსაკუთრებით დაუცველები არიან.

აქამდე იტალიის მთავრობაში აცხადებდნენ, რომ 65 წელს გადაცილებულ მოქალაქეებში ასტრაზენეკას ვაქცინის გამოყენების რეკომენდაციისთვის საკმარისი მონაცემები არ არსებობდა.

ცოტა ხნის წინ მსგავსი განკარგულება გასცა გერმანიის მთავრობამაც.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**


## განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით. მხოლოდ მოსახსნელი საღეჭი პროთეზები იტალიური, რუსული კბილებით. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადოთვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.


# სოფო ბათილაშვილი ბერას: „ასე როგორ ეშინია შენს წრეს მამაშენის ფულების“



„მხოლოდ ქართულის“ პირველი სეზონის გამარჯვებული მომღერალი სოფო ბათილაშვილი მომღერალსა და რეპერს ბერა ივანიშვილს საჯაროდ მიმართავს:

– ბერა, ასე როგორ ეშინია შენს წრეს მამაშენის ფულების, რომ ერთი კეთილისმსურველი მაინც ვერ აღმოგაჩნდა გვერდით, ვინც გეტყოდა, რომ შენივე კომპლექსების მსხვერპლი ხარ.

პასუხი მამაშენსაც მოეთხოვება, შენც და იმ ცხვრის ფარასაც, მამაშენის შიშით რომ ძალით გიცინოდა მაგ სატელეფონო საუბრებში.

# მაგდა ივანიშვილი „ვოისის“ საუკეთესო კონკურსანტად დაასახელეს



ქართველი მომღერალი მაგდა ივანიშვილი მუსიკალური პროექტის „ვოისის“ მსოფლიო ინტერნეტგვერდმა თებერვლის თვის საუკეთესო კონკურსანტთა ათეულში დაასახელა.

იუთუბ არხზე განთავსებულ ვიდეოში წარმოდგენილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული „ვოისის“ ბრმა მოსმენების შესარჩევი ტურები. ათეულში ერთადერთი ქართველი მაგდა ივანიშვილია, რომელიც საფრანგეთის, ბელგიის, ლიეტუვის, ნორვეგიის, ჰოლანდიის, დიდი ბრიტანეთის, უკრაინის, ფინეთის კონკურსანტთა შორის აღმოჩნდა.

ქართველმა მომღერალმა ბრმა მოსმენაზე ცნობილი ამერიკელი მომღერლის ბილი აილიშის ერთ-ერთი ჰიტი შეასრულა და, ქართველი მწვრთნელების მოხიბვლასთან და შემობრუნებასთან ერთად, მსოფლიო „ვოისის“ ყურადღებაც მიიპყრო.

# ქართულ თეატრს ორტომეული მიეძღვნა

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის ეზოში ორტომეულის „ქართული თეატრი 2015-2019“ პრეზენტაცია გაიმართა. კრებულის გამოცემა თბილისის მერიამ დააფინანსა. ის მოიცავს ქართველი თეატრმცოდნეების, კრიტიკოსების, 2015-2019 წლებში სხვადასხვა პერიოდულ გამოცემასა თუ ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებულ წერილებს, სტატიებს, რეცენზიებს, მიმოხილვებს, ინტერვიუებს. მასში ასახულია ქართულ თეატრში მიმდინარე შემოქმედებითი და არა მარტო შემოქმედებითი პროცესები და ტენდენციები, წარმატებული თუ წარუმატებელი სპექტაკლები, საფესტივალო ცხოვრება, სარეპერტუარო პოლიტიკა, უახლესი ქართული თეატრის შემოქმედებითი მიღწევები, ექსპერიმენტები და ძიებები.

წლების მიხედვით სტატიები დაჯგუფებულია თემატურად და დაყოფილია თავებად: უახლესი ქართული თეატრის ზოგადი ტენდენციები, თანამედროვე ქართული, კლასიკური და უცხოური დრამატურგიის სცენური ინტერპრეტაციები, ძიებები არავერბალურ სამყაროში და საფესტივალო ცხოვრება. კრებულში ავტორები მიმოიხილავენ 2015-2019 წლებში საქართველოში ჩატარებულ იმ ფესტივალებს, რომლებშიც ქართული თეატრები მონაწილეობდნენ. კრებული გარკვეულწილად ქმნის არა მარტო უახლესი ქართული თეატრის ზოგად სურათს, არამედ ავლენს ქართული სათეატრო კრიტიკის წინაშე არსებულ პრობლემებს, ინტერესებს, მსოფლმხედველობასა და აქცენტებს მნიშვნელოვან, საჭირბოროტო საკითხებზე.

გამოცემას თან ერთვის ინფორმაცია სპექტაკლებზე პროგრამების, პრიზების სია, პირთა საძიებელი. გამოცემა საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორებმა, თეატრის მკვლევრებმა მაკა ვასაძემ და ლაშა ჩხარტიშვილმა მოამზადეს.

# ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზმა მუშაობა განაახლა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზებმა მუშაობა განაახლეს.

ამ ეტაპზე მკვლევართა დარბაზები გაიხსნა შემდეგ არქივებში: საისტორიო ცენტრალური არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი და კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივი.

მკვლევართა დარბაზებში პირი დაიშვება მხოლოდ წინასწარი დაჯავშნითა და პირბადით, დეზობარიერის გამოყენებითა და ხელის ჰიგიენის დაცვით.

ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით დარბაზები შესაბამისი რეკომენდაციების დაცვით იმუშავებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ქურდებმა ჩაძირული გემიდან 600 ლიტრი ლუდი მოიპარეს

არგენტინაში ქურდებმა 20 მეტრის სიღრმეზე ჩაძირული საბჭოთა გემ „ხრონომეტრიდან“ 600 ლიტრი მუქი ფერის ელი მოიპარეს.

2020 წელს სამმა ადგილობრივმა ლუდსახარშმა კომპანიამ ნაპირიდან ხუთ კილომეტრში ჩაძირულ გემში მოათავსა შეზღუდული რაოდენობით გამოშვებული რვა კასრი ლუდი. ერთ-ერთი კომპანიის მფლობელმა ედუარდო რიკარდომ განაცხადა, რომ მსგავსი პროექტების შესახებ სმენოდა და კოლეგები დაითანხმა, მხარი დაეჭირათ ამ პროექტისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ მანამდე ასეთ სიღრმეზე სასმელი დასავარგებლად კასრებით არავის მოეთავსებინა.



თუმცა თებერვლის ბოლოს, როდესაც ლუდსახარშების მიერ დაქირავებული მყვინთავები ჩაძირულ გემში ჩაეშვნენ იქ შენახული ლუდის ამოსატანად, აღმოჩნდა, რომ ის უკვე იქ აღარ იყო. 52 წლის მყვინთავმა კარლოს ბრელესმა, რომელიც ჩაძირულ გემში ლუდის შენახვაში მონაწილეობდა, აღიარა, რომ, როდესაც ლუდის მოპარვის შესახებ შეიტყო, ატირდა. მისი ვარაუდით, სასმელის ქურდობაში იმ მცირერიცხოვანი მყვინთავებიდან ერთ-ერთი იქნებოდა გარეული, რომელიც მის იქ ჩატანაში მონაწილეობდა.

ვარაუდობდნენ, რომ ჩაძირულ გემზე შენახულ ლუდს დაახლოებით ორი ათას ბოთლში ჩამოასხამდნენ და გაყიდდნენ, ხოლო მოგების ნაწილი ქალაქ მარ-დელ-პლატაში მუნიციპალური მუზეუმის დაფინანსებაზე დაიხარჯებოდა.

# ქალმა კლინიკური სიკვდილი გადაიტანა და საიქიო ცხოვრებაზე ისაუბრა

ქალმა ავტოკატასტროფის შემდეგ კლინიკური სიკვდილი გადაიტანა და საიქიო ცხოვრებაზე ისაუბრა.



ქალი, სახელად ელენი, სერიოზულ ავტოსაგზაო შემთხვევაში მოყვა. მან გულის დროებითი გაჩერება გადაიტანა, ხოლო თავის შეგრძნებებზე კლინიკური სიკვდილის დროს გარდაცვალების შემდგომი გამოცდილებების კვლევის ფონდში დაწერა.

ელენი ამტკიცებს, რომ სანამ ამ ქვეყნად მობრუნდებოდა, თავი სრულ სიცარიელეში მყოფ ერთიან ატომად იგრძნო.

– როდესაც მოვკვდი, სრულ სიბნელეში აღმოვჩნდი. ვერაფერს ვხედავდი და არაფერი მესმოდა. არაფერი ვიცოდი არც სიკვდილზე და საერთოდ არსებობაზე, – ყვება ქალი.

ქალის თქმით, ეს სიზმარს ჰგავდა, თუმცა საკუთარი თავის სრულად შეგრძნებით.

– თავს ამ ყოველივეს ნაწილად ვგრძნობდი, თითქოსდა ერთიანი ატომი ვიყავი და ჩემ გარშემო ატომებთან ვიყავი დაკავშირებული, სიმშვიდის გარდა, სხვა ვერაფერს ვგრძნობდი, – განაცხადა ელენმა.

მეცნიერები თვლიან, რომ მსგავსი ნათელი ხედვები ტვინის აქტიურობითაა გამოწვეული, იმ დროს, როდესაც ადამიანს სიკვდილი უახლოვდება.

# უკრაინაში გამოუშვეს მარკები, რომლებზეც შიშველი ქალები არიან გამოსახული



უკრაინის ფოსტამ ისტორიაში პირველად მიმოქცევაში გამოუშვა მარკები, რომლებზეც შიშველი ქალებია გამოსახული.

მარკები სერიიდან „მისი უდიდებულესობა ქალი“ 5 მარტიდან გამოჩნდა გაყიდვაში. სერიას საფოსტო ეროვნული ოპერატორი „უკრფოსტა“ ტარას შევჩენკოს ეროვნულ მუზეუმთან და უკრაინის ეროვნულ მხატვრობის მუზეუმთან ერთად ამზადებდა.

ერთ-ერთზე გამოსახულია ტარას შევჩენკოს სურათი „ოდალისკა“, რომელიც მან 1840 წელს დახატა. კონვერტზე მასთან ერთად წარმოდგენილია ფერმწერის კიდევ ერთი ნაწარმოები „ვირსავია“. მეორე მარკას ამშვენებს გრაფიკოსი მხატვრის ანდრეი ჩებიკინის 1991 წელს შექმნილი სურათი „ენერგია II“.

თითოეულ მარკას 130-ათასიანი ტირაჟით გამოუშვებენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# ბარსელონაში ისევ ლაპორტას ერა იწყება

ბარსელონის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები ცნობილია. როგორც მოსალოდნელი იყო, კატალონიური კლუბის ახალი პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა გახდა, რომელმაც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

ლაპორტამ 30.184 (54.28%) ხმა მიიღო. მისმა კონკურენტებმა ვიქტორ ფონტმა და ტონი ფრეიშამ, შესაბამისად, 16.679 (29.99%) და 4.769 (8.58%).

ბარსელონაში ის კაცი დაბრუნდა, რომელსაც გაღატაკებული კლუბის აღზევება უკავშირდება, რაიკაარდისა და გვარდიოლას ეპოქა, სანახაობა, საუკეთესო ატმოსფერო, გამართული აკადემია და ლამის იმპერიად ქცეული გუნდი.

ლაპორტა ბარსას პრეზიდენტი მეორედ გახდა. აქამდე იგი აღნიშნულ თანამდებობას 2003-10 წლებში იკავებდა. ხსენებულ წლებში კატალონიელებმა 2 ჩემპიონთა ლიგა, 4 ლა ლიგა, 1 ესპანეთის თასი, 3 ესპანეთის სუპერთასი, 1 უეფას სუპერ თასი და 1 მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგეს.

ლაპორტამ პირველი განცხადებაც გააკეთა.



**ჟოან ლაპორტა:**

– ყველას დიდი მადლობა მოლოცვებისთვის. მადლობა ყველა გულშემატკივარს, ვინც არჩევნებში მონაწილეობა მიიღო. მადლობა ჩემს გუნდს, მოხალისეებსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც დაგვეხმარა. ეს კლუბის ისტორიაში ყველაზე გრძელი საარჩევნო კამპანია იყო. მადლობა ყველას. მადლობა იოჰან კრუიფს, რომელიც ჩვენთან აღარაა. ჩვენ კრუიფისტები და ბარსელონისტები ვართ. მადლობა ჩვენს ფეხბურთელებს. არჩევნებში მონაწილეობა ბევრმა ადამიანმა მიიღო. მადლობა მედიას, რომელიც მთელი კამპანიის დროს პროფესიონალურ დონეზე იყო.

ეს არის არჩევნები, რომლის გამოც ჩვენ ვართ მეტი, ვიდრე კლუბი, კლუბის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნები შუა პანდემიის დროს. 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მესი ჩვენთანაა და ვნახეთ, როგორ აძლევდა ხმას მსოფლიოსა და ისტორიის საუკეთესო ფეხბურთელი შვილთან ერთად. ეს იმის მტკიცებულებაა, რომ ლეოს ბარსა უყვარს!

ჩვენ დიდი ოჯახი ვართ, საკუთარ თავს კლუბს მივაკუთვნებთ და მნიშვნელოვანი გამოწვევებისთვის მზად ვართ. აღსავსენი ვართ ოპტიმიზმითა და პასუხისმგებლობით. ჩვენ წარმატებებს მივაღწევთ!

ბარსელონაში ბედნიერებას დავაბრუნებთ. სირთულეებს დავძლევთ. ამ კლუბის მესაკუთრეები ისევ გულშემატკივრები იქნებიან. მინდა, ოვაციებით შევეგებოთ ჩვენს კონკურენტებს – ფონტსა და ფრეიშას და დიდი პატივისცემა გამოვხატო მათ მიმართ.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# რუსთავი წინ გაიჭრა, დინამოს ვერა არ დაავიწყდება

**ქუთაისი-რუსთავი 76:81**
**(26:22, 12:16, 24:19, 14:24)**

ტური ქუთაისში ცხრილის თავში მყოფი გუნდების ჯახით დაიწყო. მეორეადგილოსანმა ქუთაისმა ლიდერი რუსთავი მიიღო და დაძაბულ ბრძოლაში – 76:81 დამარცხდა.

არადა, შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე მასპინძლები 7 ქულით – 73:66 იგებდნენ და გამარჯვების უკეთესი შანსიც ჰქონდათ, თუმცა ქვემოქართლელებმა არ დათმეს. ჯილან ვაშინგტონმა, მალიქ უაითმა და გეგი ბაქრაძემ ზედიზედ მითვლილი ქულებით რუსთაველები 2 წუთში გაალიდერეს – 74:73.

ალმეიდამ საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე სამქულიანით ქუთაისელები ისევ დააწინაურა, მაგრამ დარჩენილ დროში კოტე ტუღუშის გაწვრთნილ მასპინძლებს ბურთი აღარ ჩაუგდიათ. ქვემოქართლელთა იმავე ტრიომ – ვაშინგტონმა, ბაქრაძემ და უაითმა ისევ ჩააგდეს ბურთები, რუსთაველებმა მოიგეს.

ამ გამარჯვებით ქვემოქართლელები სუპერლიგაში ერთპიროვნულად და სოლიდური უპირატესობით გალიდერდნენ. ანატოლი ბოისას გაწვრთნილ რუსთავს 3 წაგებით ნაკლები აქვს, ვიდრე მეორე ადგილზე მყოფ ქუთაისს. ამ სხვაობის აღმოფხვრა კი 6 ტურში ურთულესი იქნება. ასე რომ, თამამად შეუძლია რუსთავს რეგულარული სეზონის მოგება და ფლეი ოფში მოედნის უპირატესობის დაბევება.

ქვემოქართლურ გუნდს 17 ქულით, 9 მოხსნითა და 4 პასით მალიქ უაითმა ულიდერა. 15 ქულა მაიკ დევისმა, ხოლო 12 ქულა და 7 მოხსნა ჯილან ვაშინგტონმა მოიპოვეს. ქუთაისელთაგან 15 ქულით ლუკ მეიერი გამოირჩა, ჟოელ ალმეიდას ანგარიშზე კი 13 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა.

**თსუ-ოლიმპი 68:78**
**(17:22, 13:18, 13;16, 25:22)**

ეს გუნდები მაღალ ადგილზე აცხადებენ პრეტენზიას და მათ ჯახში ოლიმპმა 10 ქულის სხვაობით – 68:78 იმარჯვა.

გუნდები დაპირისპირებას მნიშვნელოვნად განსხვავებული სტატისტიკითას და განწყობით შეხვდნენ: თსუ-მ გასული 3 მატჩი დათმო, ხოლო ოლიმპი სტუდენტებთან მატჩს მიჯრით მოპოვებული 5 გამარჯვებით შეხვდა და წარმატებული სერია ამჯერადაც გააგრძელა – პრინციპული მატჩი სათავისოდ დაასრულა და სატურნირო ცხრილში პოზიციებიც გაიმყარა.

ოლიმპმა პირველი პერიოდი 22:17 მოიგო და საერთოდაც სტუდენტები მთელი შეხვედრის განმავლობაში მდევრის როლში ამყოფა. თსუ-ს ლიდერები ვერ იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე, სამწუხაროდ, დანაკლისის ანაზღაურება გაუჭირდათ სათადარიგოებსაც. მეტიც, მატჩის 3 პერიოდი ისე დასრულდა, ძირითადი ხუთეულის მოთამაშეების გარდა, ერთი კინკილა ქულაც კი არც ერთ კალათბურთელს არ ჰქონდა, რაც, ცხადია, სერიოზული პრობლემაა და მატჩის შედეგზეც ლოგიკურად აისახა.

მატჩის დასკვნით ათწუთეულს თსუ 13-ქულიანი ჩამორჩენით შეხვდა (43:56), რაც დაუძლეველი ჩამორჩენა სულაც არ გახლავთ, სტუდენტებმა შეცდომების მინიმუმამდე დაყვანა შეძლეს და, ერთი შეხედვით, თამაშშიც დაბრუნდნენ, მაგრამ ოლიმპმა დაწყებული საქმე მაინც ბოლომდე მიიყვანა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მიითვალა.

ოლიმპს 20 ქულითა და 9 მოხსნით დონოვან სმიტმა ულიდერა. 11 ქულა და 13 მოხსნა დევანტე ფოსტერმა მიითვალა. 16 ქულა კენდრიკ ტომპსონმა ხოლო 15 – ოთარ ფხაკაძემ მიითვალეს. თსუ-ში 20 ქულით ბომბარდირი გახდა მიხეილ ჭოჭუა. 16 ქულა და 10 მოხსნა ბრენდონ სლაის ანგარიშზეა.

**დინამო-ვერა 77:92**
**(25:23, 19:21, 21:20, 12:28)**

ორიდან 2 გამარჯვება უშუალო კონკურენტებთან – ასეთია ვერას მთავარი მწვრთნელის პოსტზე დავით გასიტაშვილის მონაგარი, რომელიც ამ გუნდის პრეზიდენტი და ერთ-ერთი მეპატრონეა, ხოლო მწვრთნელობა უცხოელი სპეციალისტის ჩამოყვანამდე, დროებით გადაწყვიტა. მიზეზთა გამო მიმდინარე სეზონში ვერელები 2 სპეციალისტს – ირაკლი ხოშტარიასა და ლევან ფაცაციას დაშორდნენ, თუმცა, მიმდინარე შედეგებიდან გამომდინარე, საკითხავი ხდება, მოიყვანს თუ არა ხელმძღვანელობა გუნდში ახალ მწვრთნელს.

ვერელებმა უმნიშვნელოვანესი



მატჩი მოიგეს. ამასთან, მატჩში ისეთი რამ დაფიქსირდა, რომ სეზონები გავა და ალბათ ანალოგიურ ეპიზოდს ველარ ვნახავთ. შეხვედრის დასრულებამდე 5:45 წუთი რჩებოდა, როცა ვლადიმერ თავაქარაშვილმა სამიანი ჩააგდო და დინამო 77:71 დააწინაურა. დარჩენილ დროში კი დინამოელებმა ბურთი ველარ ჩააგდეს. საპირისპიროდ, ვერელებმა უხვად იხვეჭეს და საბოლოოდ 15 ქულის სხვაობით იმარჯვეს, ანუ ვერამ მატჩის ბოლო ხუთწუთ-ნახევარში 21:0 სძლია მეტოქეს, რომელსაც ცხრილში მხოლოდ 1 მოგებით უსწრებდა. ამ გაქცევის დროს 8 ქულა ვერელთა კაპიტანმა ვახტანგ ქადარიამ მიითვალა, რომელიც ნომინალური ცენტრია და მეტოქისთვის მოულოდნელად 2 სამქულიანი ზუსტად შეასრულა. ისტორიული გაქცევისას 8 ქულა ამ მატჩის ბომბარდირმა ბრაისონ სკოტმა მიითვალა, 3 – ლუკა მაზიაშვილმა და ორიც – აარონ პარკსმა.

არადა, ხსენებულ ეპიზოდამდე თამაში ძალიან დაძაბულად მიმდინარეობდა. პირველი ნახევარი თანაბარი ანგარიშით – 44:44 დასრულდა, ხოლო მესამე პერიოდის შემდეგ დინამოელები 65:64 იგებდნენ. და სწორედ მაშინ, როცა ასეთ თანაბარ ბრძოლაში მუჰამედ ტაჩის გუნდმა ხელჩასაჭიდ უპირატესობას მიაღწია და თამაშის დასრულებამდეც ცოტა დრო რჩებოდა, ვერელებმა მეტოქეს ისეთი სიურპრიზი შესთავაზეს, კარგა ხანს გასახსენებლად რომ ექნებათ კალათბურთის ქომაგებს.

შეხვედრის ყველაზე სარგებლიანი მოთამაშე ვერელთა ამერიკელი ლეგიონერი ჯოშ ჰავლი გახლდათ, რომელმაც 21 ქულა და 15 მოხსნა მიითვალა. არანაკლებ შედეგიანი იყო გივი ბაქრაძე. ეროვნული ნაკრების გამთამაშებელმა 17 ქულა, 14 პასი და 6 მოხსნა მიითვალა. 26 ქულით ბომბარდირი ბრაისონ სკოტი გახდა. დინამოს ცენტრიც კარგად ისროდა სამიანებს – მაიკლ ედვარდსმა 6-დან 4 შორი სროლა და ჯამში 21 ქულა ჩააგდო, თუმცა სამიანები მხოლოდ პირველ პერიოდში მიითვალა. 15-15 ქულით დაასრულეს შეხვედრა ტაილერ უილიამსმა და ჯამალ რაითმა.

**ბათუმი-კაკტუსი 86:77**
**(24:29, 28:14, 10:20, 24:14)**

გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა ბათუმმა არჩილ ჟღენტის კაკტუსს უმასპინძლა და 9 ქულის სხვაობით – 86:77 დაამარცხა. შეხვედრის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა. კაკტუსელებმა მეტოქეს სოლიდური წინააღმდეგობა გაუწიეს და, გადამწყვეტ მომენტში მეტი შემართება რომ გამოეჩინათ, გამარჯვებასაც მიაღწევდნენ.

შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე სამაი ჰეინს-ჯონსის სამქულიანით კაკტუსელები 72:69 დაწინაურდნენ. სწორედ აქ მოხდა გარდატეხა, რომელიც ბათუმელებმა სერბი ლეგიონერის ნემანია კაპეტანოვიჩის დახმარებით მოახდინეს. ბალკანელმა უკანახაზელმა მიჯრით ჩააგდო სამქულიანი, ორიანი და საჯარიმოები, რასაც ლევან ელიაძისა და ნიკოლა ვუიოვიჩის ზუსტი სროლებიც დაერთო და მასპინძლებმა 3-წუთიანი მონაკვეთი 12:0 მოიგეს, რითაც მატჩის ბედი გადაწყვიტეს.

საბოლოოდ მატჩი ისე დასრულდა, ბათუმელებს მოგება სათუო არ გახდომიათ.

გამარჯვებულებს 20 ქულით, 10 მოხსნითა და 5 პასით ტომას უაილდერმა ულიდერა. 15 ქულა, 10 მოხსნა და 5 პასი ნიკოლა ვუიოვიჩმა მიითვალა, ბექა ბექაურის ანგარიშზე კი 13 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა. კაკტუსელთაგან 25 ქულით საუკეთესო შედეგი სამაი ჰეინს-ჯონსმა დააფიქსირა.

**მგზავრები-ტიტები 68:64**
**(19:18, 20:6, 11:21, 18:19)**

ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილი მგზავრები სუპერლიგაში დასარჩენად იბრძვის. ეს გუნდი უმეტესწილად ბოლო ადგილზე იმყოფებოდა, ამ გამარჯვების შემდეგ კი კონკურენტებთან წამოწევა მოახერხა. მგზავრებმა დაძაბულ ბრძოლაში – 68:64 დაამარცხა ტიტები და მოგებებით ერთ-ერთ კონკურენტ დინამოს გაუთანაბრდა.

მგზავრების მოთამაშეებმა თამაშში მთელი ძალა და გამოცდილება ჩადეს. ბრძოლისა და მაქსიმალური შემართების ხარჯზე ბერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა პირველ პერიოდში 15-ქულიანი ლიდერობა მოიპოვა და გამარჯვებაზე სოლიდური განაცხადი გააკეთა. მანუჩარ მარკოიშვილმა თავის ასისტენტებთან ერთად ტიტების კალათბურთელები შესვენებაზე გამოაფხიზლა. მიცემული დავალებები მათ რიგიანად შეასრულეს და შედეგად მესამე პერიოდში ჩამორჩენა შეამცირეს – 45:50.

ცხადი იყო, ბოლო პერიოდში ტიტები მოსაგებად გაიწევდა და ასეც მოხდა. დავით ლომიძის, ტაილან ბირდსისა და ბრენდან აუგბორნსის შედეგიანობით ტიტებმა 3 ქულამდე დაიყვანეს ჩამორჩენა და მგზავრების მწვრთნელი ბუბა ბერიშვილი იძულებული გახდა, ზედიზედ 2 წუთშესვენება აეღო. გადამწყვეტი გამოდგა ოთარ პერტაიას სამქულიანები, რომელიც მან ძალიან საჭირო მომენტში ჩააგდო და როცა ამერიკელებმა – ტროი სტიუარტმა და ჯეიდონ ფრედერიკმაც გაისწორეს მიზანი, მგზავრების ლიდერობამ 10 ქულას უწია.

ტიტებმა ბოლო წუთებზე გაიბრძოლა, მაგრამ მგზავრებმა შანსი ხელიდან აღარ გაუშვეს და მიმდინარე სეზონში ძალიან გაიშვიათებული გამარჯვება მოიპოვეს.

მგზავრებს 21 ქულით პერტაიამ ულიდერა. 8 ქულა და 16 მოხსნა სოსო გოგნაძის ანგარიშზეა. ტროი სტიუარტმა შეხვედრა 13 ქულით დაასრულა. ტიტებში 13 ქულით დავით ლომიძე გამოირჩა. 10 ქულა პრინს უილიამსის ანგარიშზეა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.რუსთავი | 13 | 12 | 1 | 1106-951 | 25 |
| 2.ქუთაისი | 14 | 10 | 4 | 1281-1168 | 24 |
| 3.ოლიმპი | 14 | 8 | 6 | 1101-1110 | 22 |
| 4.ბათუმი | 14 | 7 | 7 | 1196-1240 | 21 |
| 5.თსუ | 14 | 7 | 7 | 1158-1184 | 21 |
| 6.ვერა | 14 | 6 | 8 | 1066-1096 | 20 |
| 7.კაკტუსი | 14 | 6 | 8 | 1043-1093 | 20 |
| 8.ცხუმი | 13 | 6 | 7 | 1026-983 | 19 |
| 9.მგზავრები | 14 | 4 | 10 | 1073-1129 | 18 |
| 10.ტიტები | 13 | 5 | 8 | 999-1039 | 18 |
| 11.დინამო | 13 | 4 | 9 | 1116-1172 | 17 |

# შედეგები

## 7 მარტი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი ............ 0:0
ლივერპული-ფულემი ................... 0:1
სიტი-მანჩესტერი ......................... 0:2
ტოტენჰემი-კრ.პალასი ................. 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 28 | 20 | 5 | 3 | 56-19 | 65 |
| 2.მანჩესტერი | 28 | 15 | 9 | 4 | 55-32 | 54 |
| 3.ლესტერი | 28 | 16 | 5 | 7 | 48-32 | 53 |
| 4.ჩელსი | 27 | 13 | 8 | 6 | 42-25 | 47 |
| 5.ევერტონი | 26 | 14 | 4 | 8 | 39-33 | 46 |
| 6.ტოტენჰემი | 27 | 13 | 6 | 8 | 46-28 | 45 |
| 7.ვესტ ჰემი | 26 | 13 | 6 | 7 | 40-31 | 45 |
| 8.ლივერპული | 28 | 12 | 7 | 9 | 47-36 | 43 |
| 9.ასტონ ვილა | 26 | 12 | 4 | 10 | 38-27 | 40 |
| 10.არსენალი | 27 | 11 | 5 | 11 | 35-28 | 38 |
| 11.ლიდსი | 26 | 11 | 2 | 13 | 43-44 | 35 |
| 12.ვულვზი | 28 | 9 | 8 | 11 | 28-37 | 35 |
| 13.კრ.პალასი | 28 | 9 | 7 | 12 | 30-47 | 34 |
| 14.საუთჰემპტონი | 27 | 9 | 6 | 12 | 33-44 | 33 |
| 15.ბარნლი | 28 | 7 | 9 | 12 | 20-36 | 30 |
| 16.ნიუკასლი | 27 | 7 | 6 | 14 | 27-44 | 27 |
| 17.ფულემი | 28 | 5 | 11 | 12 | 22-33 | 26 |
| 18.ბრაიტონი | 27 | 5 | 11 | 11 | 27-35 | 26 |
| 19.ვესტ ბრომვიჩი | 28 | 3 | 9 | 16 | 20-56 | 18 |
| 20.შეფილდი | 28 | 4 | 2 | 22 | 16-45 | 14 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

კიოლნი-ვერდერი ......................... 1:1
არმინია-უნიონი ............................ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 24 | 17 | 4 | 3 | 71-34 | 55 |
| 2.ლაიფციგი | 24 | 16 | 5 | 3 | 46-20 | 53 |
| 3.ვოლფსბურგი | 24 | 12 | 9 | 3 | 38-21 | 45 |
| 4.აინტრახტი | 24 | 11 | 10 | 3 | 47-33 | 43 |
| 5.ლევერკუზენი | 24 | 11 | 7 | 6 | 42-26 | 40 |
| 6.დორტმუნდი | 24 | 12 | 3 | 9 | 50-35 | 39 |
| 7.უნიონი | 24 | 8 | 11 | 5 | 36-26 | 35 |
| 8.ფრაიბურგი | 24 | 9 | 7 | 8 | 37-38 | 34 |
| 9.შტუტგარტი | 24 | 8 | 9 | 7 | 45-37 | 33 |
| 10.გლადბახი | 24 | 8 | 9 | 7 | 40-37 | 33 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 24 | 8 | 6 | 10 | 39-41 | 30 |
| 12.ვერდერი | 23 | 6 | 9 | 8 | 27-33 | 27 |
| 13.აუგსბურგი | 24 | 7 | 5 | 12 | 24-37 | 26 |
| 14.კიოლნი | 24 | 5 | 7 | 12 | 22-42 | 22 |
| 15.ჰერტა | 24 | 5 | 6 | 13 | 28-43 | 21 |
| 16.არმინია | 23 | 5 | 3 | 14 | 18-41 | 19 |
| 17.მაინცი | 24 | 4 | 6 | 14 | 23-44 | 18 |
| 18.შალკე | 24 | 1 | 7 | 16 | 16-61 | 10 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ზანდჰაუზენი .......... 1:0
ფორტუნა-ნიურნბერგი .................. 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

უესკა-სელტა ................................. 3:4
ატლეტიკო-რეალი ......................... 1:1
სოსიედადი-ლევანტე ..................... 1:0
ბილბაო-გრანადა .......................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 25 | 18 | 5 | 2 | 48-17 | 59 |
| 2.ბარსელონა | 26 | 17 | 5 | 4 | 57-22 | 56 |
| 3.რეალი | 26 | 16 | 6 | 4 | 44-21 | 54 |
| 4.სევილია | 25 | 15 | 3 | 7 | 35-20 | 48 |
| 5.სოსიედადი | 26 | 12 | 9 | 5 | 43-21 | 45 |
| 6.ბეტისი | 25 | 12 | 3 | 10 | 33-38 | 39 |
| 7.ვილიარეალი | 26 | 8 | 13 | 5 | 34-29 | 37 |
| 8.ბილბაო | 25 | 9 | 6 | 10 | 36-29 | 33 |
| 9.სელტა | 26 | 8 | 9 | 9 | 34-40 | 33 |
| 10.გრანადა | 26 | 9 | 6 | 11 | 32-44 | 33 |
| 11.ლევანტე | 26 | 7 | 11 | 8 | 35-35 | 32 |
| 12.ვალენსია | 26 | 7 | 9 | 10 | 32-36 | 30 |
| 13.ოსასუნა | 26 | 7 | 7 | 12 | 23-35 | 28 |
| 14.კადისი | 26 | 7 | 7 | 12 | 22-41 | 28 |
| 15.ხეტაფე | 26 | 7 | 6 | 13 | 21-32 | 27 |
| 16.ვალიადოლიდი | 26 | 5 | 10 | 11 | 25-37 | 25 |
| 17.ელჩე | 25 | 5 | 9 | 11 | 23-37 | 24 |
| 18.ალავესი | 25 | 5 | 7 | 13 | 20-39 | 22 |
| 19.ეიბარი | 26 | 4 | 10 | 12 | 20-29 | 22 |
| 20.უესკა | 26 | 3 | 11 | 12 | 25-40 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მალაგა-საბადელი ........................ 2:0
პონფერადინა-ხიხონი .................. 2:2
მალიორკა-კარტახენა .................. 2:1
ხირონა-ალმერია .......................... 0:1

**იტალია. სერია ა**

რომა-ჯენოა .................................. 1:0
ვერონა-მილანი ............................ 0:2
კროტონე-ტორინო ........................ 4:2
ფიორენტინა-პარმა ...................... 3:3
სამპდორია-კალიარი .................... 2:2
ნაპოლი-ბოლონია ........................ 3:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 25 | 18 | 5 | 2 | 62-25 | 59 |
| 2.მილანი | 26 | 17 | 5 | 4 | 50-30 | 56 |
| 3.იუვენტუსი | 25 | 15 | 7 | 3 | 51-21 | 52 |
| 4.რომა | 26 | 15 | 5 | 6 | 51-38 | 50 |
| 5.ატალანტა | 25 | 14 | 7 | 4 | 60-32 | 49 |
| 6.ნაპოლი | 25 | 15 | 2 | 8 | 55-29 | 47 |
| 7.ლაციო | 25 | 13 | 4 | 8 | 39-35 | 43 |
| 8.ვერონა | 26 | 10 | 8 | 8 | 34-29 | 38 |
| 9.სასუოლო | 25 | 9 | 9 | 7 | 40-39 | 36 |
| 10.სამპდორია | 26 | 9 | 5 | 12 | 36-39 | 32 |
| 11.უდინეზე | 26 | 8 | 8 | 10 | 29-34 | 32 |
| 12.ბოლონია | 26 | 7 | 7 | 12 | 33-41 | 28 |
| 13.ჯენოა | 26 | 6 | 9 | 11 | 27-38 | 27 |
| 14.ფიორენტინა | 26 | 6 | 8 | 12 | 29-41 | 26 |
| 15.სპეცია | 26 | 6 | 8 | 12 | 33-47 | 26 |
| 16.ბენევენტო | 26 | 6 | 8 | 12 | 26-48 | 26 |
| 17.კალიარი | 26 | 5 | 7 | 14 | 29-43 | 22 |
| 18.ტორინო | 24 | 3 | 11 | 10 | 35-45 | 20 |
| 19.პარმა | 26 | 2 | 10 | 14 | 23-52 | 16 |
| 20.კროტონე | 26 | 4 | 3 | 19 | 28-64 | 15 |

**იტალია. სერია ბ**

ემპოლი-ჩიტადელა ...................... 1:1
რეჯანა-ლეჩე ................................ 0:4

**ნიდერლანდები. ეჰედივიზიონი**

აიაქსი-გრონინგენი ...................... 3:1
ფორტუნა-პსვ .............................. 1:3
ერაკლესი-ზვოლე ........................ 2:1
ვიტესი-ალკმაარი ........................ 2:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

მარიტიმუ-მორეირენშე ................ 0:2
რიუ ავე-ფარენსე ......................... 2:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-უფა .................................. 0:0
დინამო-ტამბოვი ........................... 2:0
სპარტაკი-კრასნოდარი ................. 6:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-სტ.პოლტენი 4:1
რიდი-ვოლფსბერგერი 0:4
აუსტრია-რაპიდი 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

დ.იუნაიტედი-სელტიკი 0:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

მუსკრონი-სტანდარდი 1:0
ბრიუგე-ვარეგემი 3:0
ანდერლეხტი-მეხელენი 1:1
გენკი-სერკლი 2:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქარაგუმრუქი-ანკარაგიუჯიუ 0:1
გენჩლერი-ბაშაქშეჰირი 0:1
ხატაი-ქაისერი 1:3
გალათასარაი-სივასი 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ოლიმპიაკოსი-ლამია 3:0
პანეთოლიკოსი-ვოლოსი 1:0
პაოკი-არისი 2:2

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ჩესკე-ბოლესლავი 1:3
კარვინა-ბრნო 1:1
სლავია-ბანიკი 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლოზანა-სიონი 1:3
ლუგანო-ციურიხი 0:1
ლუცერნი-სტ.გალენი 4:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-სტალი 2:1
პოგონი-ლეხი 0:1
შლასლი-ლეგია 0:1

**უნგრეთი. 1 ლიგა**

ჰონვედი-კიშვარდა 0:1
ზალაეგერსერი-ფერენცვაროში 2:2
ბუდაფოკი-ფეჰერვარი 1:2

***ფეჰერვარის პირველი გოლი ბუდუ ზივზივაძემ გაიტანა***

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დინამო-მინაი ............................... 3:0
ზორია-ლვოვი ............................... 4:0
ინგულეცი-კოლოსი ...................... 0:0

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-ლუნგბიუ ..................... 1:2
ბრონდბიუ-კოპენჰაგენი .............. 2:1
მიდტიულანდი-ორხუსი ................ 0:1
ნორდსიელანდი-ჰორსენსი ........... 2:2
ვეილე-ოდენსე ............................. 2:0

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 2. ფლიდი, ფარისეველი ადამიანი; 3. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 4. ველოსპორტის ერთ-ერთი დისციპლინა; 5. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა საქართველოში; 6. წვრილყელიანი ღვინის სასმისი; 9. ზაზა ურუშაძის მხატვრული ფილმი; 10. უმაღლესი ხარისხის ქვანახშირი; 11. კომუნისტური წყობის უმაღლესი ფაზა; 14. ვულკანური წარმოშობის ძალზე მსუბუქი, ფოროვანი მინერალი; 16. მიწისქვეშა განძეულის მცველი ქონდრისკაცი გერმანულ მითოლოგიაში; 18. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი სახელმწიფო აფრიკაში; 20. მწვერვალი კავკასიონზე; 23. ციმბირული ირემი; 24. მზის სისტემის პლანეტა; 25. მომწამვლელი ნივთიერება; 26. ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრი.

**თარაზულად:** 7. ისტორიული ციხე-ქალაქი ქვემო ქართლში; 8. მცენარის სასიცოცხლო მოქმედება; 12. სილის გორაკი ზღვის, ტბის სანაპიროზე; 13. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 15. კოვბოების შეჯიბრება; 17. ხაშურის ძველი სახელწოდება; 19. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 21. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ოქროსფერი კურდღელი; 22. ავტოდრომი იტალიაში; 27. ვაზის მავნებელი მწერი; 28. ქართველთა გამაერთიანებელი მეფე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ცუნამი; 2. ტაბორი; 3. ლაკმე; 5. ვეძა; 6. დოლარი; 8. იადონი; 11. მაჯესტიკი; 13. გლუკოზა; 14. იაშვილი; 15. მოდრიჩი; 19. დოჟი.

**თარაზულად:** 1. ცისარტყელა; 4. ჰონვედი; 7. ნაირობი; 9. მუშამბა; 10. ომარი; 12. ბროსნანი; 16. რიგოლეტო; 17. პუნსონი; 18. კვაზიმოდო; 20. კნეთელი; 21. ყაჭი; 22. მიუზიკლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ქლიბი; 2. ჩხუტი; 3. პერგოლა; 4. ჩოხა; 5. ლიმა; 6. ანოსმია; 9. ვარდოსანიძე; 10. არბიტრაჟი; 11. გერიატრია; 14. ნივეა; 16. სეიკო; 18. ალუმინი; 20. გამპერი; 23. არვე; 24. ვარნა; 25. ფშავი; 26. ლიდა.

**თარაზულად:** 7. ფენოლოგია; 8. ხუზისტანი; 12. კობრა; 13. სეიმი; 15. რადიო; 17. ველასკესი; 19. ცენტი; 21. ბურჟე; 22. სიამი; 27. ანტიკვარი; 28. ბაღდადური.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 მარტი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3202

ევრო — 3.9640

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.5835

100 რუსული რუბლი — 4.4518

## ამინდის პროგნოზი 9 მარტისათვის




2018311219676

## 9 მარტიდან

## მსოფლიო საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია




ამ წიგნში ნებისმიერი გემოვნების მკითხველი მიაგნებს მისთვის საინტერესო საკითხავს, შეხვდება საყვარელ უცხოელ ავტორებს, რომლებიც გამოგზაურებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში, შეხვდებით თქვენთვის საყვარელ პერსონაჟებს და გაეცნობით მათ საინტერესო თავგადასავლებს. გადაშლისთანავე დარწმუნდებით, რომ მისი ადგილი სწორედ თქვენს ბიბლიოთეკაშია.

## ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

## ზიდანი: „ატლეტიკოსთან ბოლომდე ვიბრძოლეთ“



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა ატლეტიკოსთან მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისმა გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და ფრე ცუდი შედეგი არ არის, თუმცა რეალმა ორი ქულა დაკარგა და ამჟამად სატურნირო ცხრილში მესამე ადგილს იკავებს:

— ატლეტიკომ პირველ ტაიმში გვაჯობა, მაგრამ მეორე ნახევარი ჩვენ უკეთესად ჩავატარეთ და გატანილი გოლიც დავიმსახურეთ. ფრე კარგი შედეგია, თუმცა მომავალ შეხვედრებში ქულები არ უნდა დავკარგოთ.

## კუმანი: „შანსს ყველა ფეხბურთელს მივცემ“



ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა რონალდ კუმანმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ყველა ფეხბურთელს მისცემს შანსს, თავი გამოიჩინოს და ასაკს მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს:

— შანსს ყველას მივცემ, ვინც ვარჯიშებზე ბოლომდე დაიხარჯება და შრომას არ დაიზარებს. ჩემთვის მთავარი ფეხბურთელის მონდომებაა და, როდესაც ამას ვხედავ, მაშინ ყველაფერი სხვა მეორეხარისხოვანი ხდება. ამჟამად ძალიან კარგ ფორმაში ვართ და მინდა, რომ ასე გაგრძელდეს.

## ბორუსია ჰაალანდს 150 მილიონად აფასებს



დორტმუნდის ბორუსიამ დაასახელა ფასი, რომლის გადახდაც მოუწევს იმ გუნდს, რომელიც ჰაალანდის შეძენას მოისურვებს. ეს თანხა 150 მილიონი ევროა და ბორუსია დაკლებას არ აპირებს, თუმცა, შესაძლოა, ამის გაკეთება მოუწიოს, რადგან ჰაალანდს კონტრაქტი 2022 წელს უმთავრდება და ჯერჯერობით ის კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს.

მისი შეძენით ყველაზე მეტად მადრიდის რეალია დაინტერესებული, რომელიც ახალი ფორვარდის ძიებაშია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

— ძვირფასო, ცოლად გამომყვები?

— არა, შენი ხელფასი ჩემ სიყვარულამდე ვერ ქაჩავს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— ჩემ ცოლს მანქანაზე უკანა მხარეს წარწერა გავუკარი: „საჭესთან მოკრივეა“.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ყველას ეგონოს, რომ საჭესთან მოკრივეა. ქვევით მინაწერიც გავუკეთე: „აჩვენებს მარჯვნივ, უხვევს მარცხნივ“.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

— როგორ უნდა შევატყო ადამიანს, რომ მისთვის ფულის სესხება სარისკოა?

— ფულს შენ გთხოვს და არა ბანკს...

●●●

ახალგაზრდას ეკითხებიან:

— თქვენ ჰეტერო, ჰომო თუ ბისექსუალი ხართ?

— თვითსექსუალი...

●●●

შვილი მამას ეკითხება:

— მამა, როგორ უნდა შევარჩიო ის ერთადერთი ქალი?

— არ იჩქარო, შვილო, ის თავად შეგარჩევს.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, 8 მარტისთვის საჩუქარს ნუ მიყიდი...

— მანქანას რა დაემართა?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ზურა ყიფშიძეს სახლიდან აძევებენ



ჟურნალისტმა მაკა რაზმაძემ ინტერნეტში გაავრცელა ინფორმაცია, რომ ზურა ყიფშიძესა და მის ოჯახს ჩვენი დახმარება სჭირდება:

— მეგობრებო, განსაკუთრებით ჩემს კოლეგებს მივმართავ: ზურა ყიფშიძესა და მის ოჯახს ჩვენი დახმარება სჭირდება!

არ დავწერდი 8 მარტს ამ პოსტს, მაგრამ ძალიან მცირეა დრო და ვადები მისი პრობლემის გადასაჭრელად.

სულ რამდენიმე დღეში მის ოჯახს კერძო მევახშე სახლიდან გააძევებს!

გთხოვთ, ამოვუდგეთ მხარში თუნდაც ამ ამბის სწორად გაშუქებით, რადგან ოჯახის წევრები დარწმუნებით ამბობენ, რომ თაღლითური სქემის მსხვერპლი აღმოჩნდნენ. თვითონ ზურა თავს შეუძლოდ გრძნობს და ოთახიდან აღარ გამოდისო, ამბობს მეუღლე.

იქნებ შევძლოთ დახმარება! ჟურნალისტებს მრავალი მსგავსი თაღლითობა გამოგვიაშკარავებია და გადაგვირჩენია წესიერი ადამიანები! მე, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე აღარც გადაცემა მაქვს და ვერც სიუჟეტს მივუძღვნი. ამიტომ მხოლოდ ის შემიძლია, რომ კოლეგებს ვთხოვო დახმარება ამ პოსტით! იმედია, შევძლებთ სიმართლის დადგენასა და ყიფშიძეების ოჯახის გადარჩენას.

## ირაკლი წულაძის ნამუშევარი დააზიანეს



კრწანისის რაიონში, ფონიჭალაში, მოქანდაკე ირაკლი წულაძის ოკუპაციის თემაზე შექმნილი ნამუშევარი დააზიანეს.

მანანა თოქმაჯიშვილი, თბილისის მერიის წარმომადგენელი:

— მძიმე ამბავია, სახელიც კი არა აქვს ამ ბარბაროსობას — კრწანისის რაიონში მდებარე ოკუპაციის მსხვერპლთა ხსოვნის მემორიალი დააზიანეს.

ადგილზე სამართალდამცავები მუშაობენ. ირაკლი წულაძე — ვიცი, რასაც გრძნობ ახლა.

## გელა ჩარკვიანი ოქროს ვარდით დააჯილდოვეს




ყოფილი დიპლომატი, მწერალი და მუსიკოსი გელა ჩარკვიანი ოქროს ვარდით დააჯილდოვეს. ყოველწლიურ პრემიას სადაზღვევო კომპანია „არდი“ გასცემს.

გელა ჩარკვიანი:

— „ცხოვრება მცდელობებისა და შეცდომების სერიაა.“

მადლობა არდის და არდელებს, რომ ყოველწლიური პრემიით „ოქროს ვარდი 2021“ წელს მე დამაჯილდოვეს!

წინა წლებში ეს პრემია კახი კავსაძესა და გურამ დოჩანაშვილს მიენიჭათ.

## სოფო ნიჟარაძე დედის ამპლუაში დედის დღეს პირველად შეხვდა



მომღერალი სოფო ნიჟარაძე დედის დღეს დედის ამპლუაში შორეულ ამერიკაში პირველად შეხვდა.

სოფოს გოგონა შარშან, 2 ივნისს შეეძინა, რომელსაც ელისმარია დაარქვა.

— პირველი დედის დღეა ჩემთვის დედის ამპლუაში და მსურს, ისეთივე დედა ვიყო, როგორი დედაც მყავს, — განაცხადა მომღერალმა.

## „კომედი ჯგუფი“ „ფორმულაზე“ გადაცემებს 11 მარტიდან დაიწყებს

11 მარტიდან „კომედი ჯგუფი“ ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში 6 ახალი გადაცემით გამოჩნდება. იუმორისტები ტელეკომპანია „რუსთავი 2“-დან ფორმულაში რამდენიმე დღის წინ გადავიდნენ.

პირველი გადაცემა „ნიკა არაბიძის შოუ“ „ფორმულას“ ეთერში 11 მარტს გავა. 16 მარტს მაყურებელი უკვე „კომედი შოუს“ ნახავს, 17 მარტს — ანეკდოტების შოუს პაატა გულიაშვილთან ერთად.

უკვე ცნობილ იუმორისტებს მოდელი ალექსანდრა პაიჭაძეც შეუერთდება. ის „ფორმულას“ ეთერში გადაცემა „ყვითელ ყუთს“ გაუძღვება. კიდევ ერთ იუმორისტულ გადაცემას „სიცილი ფულია“ ვახო ბიჭიკაშვილი წაიყვანს. მალევე დაიწყება ახალი საბავშვო იუმორისტული გადაცემა „საქანელა“. ეს არის სრულიად ახალი იუმორისტული პროექტი, რომელსაც მაყურებელი „ფორმულას“ ეთერში იხილავს. „რუსთავი 2“-დან „ფორმულაზე“ გადასულ იუმორისტებს ბევრი სიახლითა და ახალი პერსონაჟებით მაყურებლის მატების იმედი აქვთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი

### 9 მარტისათვის



**ვერძი** — ეს დღე უკავშირდება კოსმოსური ენერგიის ათვისებას, დასვენებას, სულიერი წონასწორობის აღდგენას. **კურო** — ნებისმიერი საქმე დიდ ძალისხმევასა და დროს მოითხოვს, თუმცა მიზანს წარმატებით აღწევთ. **ტყუპები** — იზრდება თქვენი მომხიბვლელობა, რომელიც საკმაოდ კარგ სამსახურს გაგიწევთ. ნუ იქნებით სწორხაზოვანი. **კირჩხიბი** — სამოგზაუროდ წასვლა უნდა გადადოთ. შემოქმედებითი აღმაფრენა გეწვევათ. იცვლება მატერიალური მდგომარეობა. **ლომი** — კეთილისმყოფელი დღეა მეგობრებთან ურთიერთობისათვის, შემოქმედებითი ძიებისათვის. იყავით მობილიზებული. **ქალწული** — საქმიან პარტნიორთან მოლაპარაკებები გაგიჭირდებათ. მოსალოდნელია ფინანსური პრობლემები. **სასწორი** — საკუთარ თავს კრიტიკულად მიუდექით. ნებისმიერი ქცევა აკონტროლეთ. **ღრიანკალი** — ფინანსური ოპერაციებისათვის ხელსაყრელი პერიოდია. ოჯახში სიტუაცია იძაბება, რაც თქვენი ბრალია. **მშვილდოსანი** — ბევრს ნუ იმუშავებთ. განტვირთვისათვის ბუნებაში გასვლა ან ბაღში საქმიანობა წაგადგებათ. **თხის რქა** — საქმიანი შეხვედრები დღეს მიზანშეწონილი არ არის. ცრუ ინფორმაცია ნერვებს მოგიშლით. **მერწყული** — ნეგატიური დღეაა. ახლობლებთან უსიამოვნო საუბარი გელით. გაუფრთხილდით ფინანსებს. **თევზები** — ნებისმიერ პრობლემას ცივი გონებით გადაჭრით. ემოციების აყოლა დღეს დაუშვებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ბასკური ხალხური თამაში ბურთით; 2. ქართული ნაციონალური კერძი; 3. კომპანია „ტესლას“ მფლობელი; 5. ციხე-სიმაგრე ზუგდიდის მახლობლად; 6. სვან მამაკაცთა ცეკვა; 8. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 11. ქართველი მძლეოსანი მამაკაცი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. საფოსტო გზავნილება; 14. ნახტომი ბალეტში; 15. ასაკოვანი, უცოლშვილო მამაკაცი; 19. ქიმიური ელემენტი, რომელსაც ძირითადად იღებენ ზღვის წყალმცენარეებისაგან.

**თარაზულად:** 1. ტბა საქართველოში; 4. არისტოკრატიის წარმომადგენელი რომში; 7. სახელმწიფო ბალტიისპირეთში; 9. ტერიტორიული ერთეული შვეიცარიაში; 10. კუთხე საქართველოში; 12. სასიგნალო მოწყობილობა რკინიგზაზე; 16. ესპანეთში მოასპარეზე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 17. კომპანიის, ფირმის, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის წლიური ჯამი; 18. წინასწარი ზომების მიღება რაიმეს თავიდან ასაცილებლად; 20. ღრმა ძილის მდგომარეობა; 21. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 22. ავტონომიური ოლქი ესპანეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

